ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 12 აგვისტო, 2022 №158 (8936) ფასი: 80 თეთრი

ადვოკატი:
„28 ივლისს სოსო გოგაშვილი გაიყვანეს ე.წ. საშხაპეში და უთხრეს, რომ ფანჯრის რაფაზე განთავსებული ტელეფონისთვის ეპასუხა“ გვ.2

„მიშას საპატიმროში შებრუნება კატასტროფა იქნება!“

გვ.2

მიხეილ სააკაშვილს 14 დიაგნოზი აქვს დასმული გვ.4

შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალურ მოძრაობას გავემიჯნეო, სააკაშვილს ჩემთან არ უთქვამს“



„უკრაინაში პუტინი როცა გადატყდება, ივანიშვილი აქედან „მოტყდება“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლება მზად არის, ახალი რუსული უბნები და ახალი რუსული ქალაქები ააშენოს“

გვ.3

„ნაცმოძრაობის ქმედება რუსეთის ინტერესების გატარებაა“

გვ.3

გიორგი გაჩეჩილაძე: „რუსეთის მიერ სამხედრო ბაზების განლაგება ნიშნავს არა მარტო საქართველოზე გავლენის მოპოვებას, არამედ რეგიონალური გავლენის მიღწევას“

ბიჭვინთის აგარაკის თემამ სასექტემბროდ გადაიწია

გვ.4

მიმართავს თუ არა ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტი ხელმეორედ საკონსტიტუციო სასამართლოს

ახალქალაქში პოლიციის უფროსის მოადგილე და ყოფილი დეპუტატი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ



გვ.5

რა მოხდა დათვის ჯვრის უღელტეხილზე, სადაც 30 უცხოელი იმყოფებოდა

1993230720223

5 საბერძნეთში სახლის ძარცვისას 3 ქართველი დააკავეს

4 დავით არახამია: „ივანიშვილისა და მისი მსახურებისთვის ახალ პასპორტს ვაქვეყნებ“

4 მიხეილ ყაველაშვილი: „ჩვენთან ომი თუ უნდა რუსეთს, ვინ შეუშლის ხელს?!“

6 რუსეთის ტყვეობაში „აზოვსტალიდან“ 131 უკრაინელი ქალი ჯარისკაცი იმყოფება

„მიშას საპატიმროში შებრუნება კატასტროფა იქნება!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალურ მოძრაობას გავემიჯნეო, სააკაშვილს ჩემთან არ უთქვამს“

– ბატონო შალვა, ბოლო პერიოდია აქტიურად გვესმის შეფასებები იმის შესახებ, რომ დროა სააკაშვილი ციხეში დააბრუნონო. როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და თქვენამდეც თუ მოვიდა ეს ინფორმაციები?

– სოციალურ ქსელში მეც მოვკარი თვალი მსგავს ინფორმაციებს. წერდნენ ამაზე ვიღაც-ვიღაცები.

– პროტესტია „ოცნების“ მომხრეებში, 10 თვეა დაიჭირეს და 9 თვე კლინიკაში გაატარაო.

– ეს არ შეეფერება სიმართლეს. ათი თვეა, რაც პატიმრობაშია და აქედან ორი თვეა, რაც კლინიკაშია. რას ნიშნავს პროტესტია? პროტესტით პატიმრები არ გადაჰყავთ და არ გადმოჰყავთ. არც მკურნალობა უტარდებათ. დადგენილი სტანდარტებია და ამით ხელმძღვანელობენ. სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა და დღითიდღე უმძიმდება მდგომარეობა. ექიმები ცდილობენ, ყველაფერი აკონტროლონ, თუმცა ვიმეორებ, იმ ტიპის დაავადება, რაც მას ჭირს, ეს მალე გახდება ცნობილი სასამართლოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რასაც, რა თქმა უნდა, გამოვაქვეყნებთ. გამოვაქვეყნებთ იმ ნაწილს, რის გამოქვეყნებაც შეიძლება.

– ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა?

– ჩატარების სტადიაშია. ამერიკელი და შვეიცარიელი ექსპერტები ჩაერთნენ, მათ ჩამოსვლას ველოდებით და საბოლოოდ ამ თვის ბოლოსკენ დაიდება ეს დასკვნა. თუ დასკვნაში იქნება, რომ მძიმე ავადმყოფია, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდაში, ამის შემდგომ მივმართავთ სასამართლოს სასჯელის გადავადებაზე.

– ეს საკითხი მაინც სათუოა?

– წინასწარ რთულია რაიმეს თქმა, ჩვენ არ ვერევით და ვერ ვერევით. ეს კანონითაც აკრძალული გვაქვს, რომ ექსპერტების მუშაობაში ჩავერიოთ. ჩვენ დავსვით შეკითხვები და ველოდებით პასუხს. ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ ის მძიმე ავადმყოფია, თუმცა ავადმყოფობის სიმძიმის ხარისხი უნდა განსაზღვროს საექსპერტო კომისიამ.

– ვიზუალურად რა გამოვლინებები აქვს?

– ძალიან ცუდი ფერი აქვს, ძალიან დასუსტებულია, აქვს სიცხეები, მაღალი წნევა და ასე შემდეგ. ასევე, რაც ყველაზე გასაოცარია, მკურნალობა უტარდება, კლინიკა კარგ მკურნალობას უტარებს, ამაზე ვერაფერს ვერ ვიტყვით, მაგრამ არანაირი შედეგი არ არის. პირიქით, დინამიკაში უარესდება და უარესდება.

– ბატონო შალვა, თქვენ როგორ ფიქრობთ, სანამ ექსპერტიზის დასკვნა არ დაიდება, დატოვებენ სააკაშვილს კლინიკაში? ციხეში ხომ არ დააბრუნებენ?

– ვერ გეტყვით, რა და როგორ იქნება. ახლაც კი კვლევას უტარებენ. მისი ამ მდგომარეობაში გადაყვანა ციხეში, სრული კატასტროფა იქნება. პირდაპირ ვამბობ, მიშას საპატიმროში შებრუნება არის კატასტროფის ტოლფასი! ყველა მოცემულობით, რასაც მე ვხედავ, წესით, არ უნდა გადაიყვანონ.

– ვისმენთ შეფასებებს, რომ 2024-მდე ხელისუფლებას არანაირად არ აწყობს სააკაშვილის არც გათავისუფლება და არც სამკურნალოდ გაყვანა უცხოეთში. რამდენად სჭარბობს ამ ყველაფერში პოლიტიკური კომპონენტი?

– ახლა, სადაც იქნება სააკაშვილი, სადაც იქნება გვარები ნახსენები ბიძინა ივანიშვილი, შევარდნაძე, გამსახურდია და ასე შემდეგ, აქ ყოველთვის იქნება პოლიტიკური შემადგენელი, ამას ვერ გაექცევა ვერავინ. პოლიტიკური შემადგენელი ნაწილი ამ საქმეს სულ ექნება.

– ბატონო შალვა, როგორც ვალერი გელბახიანმა, ისე თქვენ ისაუბრეთ მიხეილ სააკაშვილის ქართული პოლიტიკიდან გასვლაზე. ასევე გაკეთდა განცხადება, რომ სააკაშვილი ემიჯნება ნაციონალურ მოძრაობას. თუმცა ამაზე საუბრობთ ადვოკატები, მას ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. რა ხდება რეალურად? ვისთან ისაუბრა ამ საკითხზე მიხეილ სააკაშვილმა? ოჯახმა სხვა რამ განაცხადა, პარტიის თავმჯდომარემ სხვა, რა ხდება?

– ოჯახიდან ქალბატონმა გიულიმ გააკეთა განცხადება, რომ ამ თემაზე არ ვსაუბრობო და ის დედაა და მისთვის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ყველაზე მნიშვნელოვანია. სააკაშვილის განცხადება სწორედ ამას ნიშნავდა, რომ ის ქართული პოლიტიკიდან წავიდა. რაც შეეხება იმას, რომ პარტიას გავემიჯნე, ამ სიტყვას სხვადასხვა ინტერპრეტაცია მისცეს სხვადასხვა ჯგუფებმა. სიტყვა გავემიჯნე, მიხეილ სააკაშვილს ჩემთან არ უთქვამს.

– ნაციონალურ მოძრაობასთან გამიჯვნას გულისხმობთ?

– დიახ, ნაციონალურ მოძრაობას გავემიჯნეო, ეს ჩემთან არ უთქვამს მიშას.

– თუკი ქართულ პოლიტიკას ტოვებს და ემიჯნება, ეს ხომ ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ პარტიაც უნდა დატოვოს. სხვაგვარად რას ნიშნავს ქართული პოლიტიკიდან წასვლა?

– მისი განცხადება იყო ასეთი, რომ ის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ის რა სიტუაციაშიც ახლა იმყოფება, მას არც ჯანმრთელობა უწყობს ხელს, არც ამის განწყობა აქვს. ამიტომ მან თქვა, რომ აღარ მაინტერესებს ქართული პოლიტიკა და ვინტერესდები მხოლოდ უკრაინის პოლიტიკით. მხოლოდ უკრაინის ამბებს უყურებს, ქართულ არხებს საერთოდ არ ადევნებს თვალს და ეს პირადად მე მითხრა.

– საკუთარ პარტიაზე იმედგაცრუებულიც ხომ არ არის? ესეც ითქვა.

– არ საუბრობს ამ თემაზე და სიმართლე რომ გითხრათ, შიდა პარტიულ სიტუაციებში არც ვერევი და არც მას ვესაუბრები ამაზე. ვცდილობ, არ ჩავერიო, იცით, რომ დიდი კარგი რამის მთქმელი არა ვარ ამ პარტიაზე. ამიტომ საერთოდ არ ვეხებით ამ თემას.

– „ქართულმა ოცნებამ“ ასე მონათლა ეს ყველაფერი, რომ მიხეილ სააკაშვილს თავის დაღწევა უნდა საპატიმროდან და ამიტომ აცხადებს ქართულ პოლიტიკას ვემიჯნებიო.

– „ქართულ ოცნებას“, სხვათა შორის, ამ თემის გაჟღერების შემდეგ მკვეთრი განცხადებები არ გაუკეთებია. რამდენიმე განცხადება იყო მაგის მსგავსი და ამით დამთავრდა. თუმცა სააკაშვილის საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია და სასამართლო იმსჯელებს ამაზე. პოლიტიკოსების მხრიდან არ უნდა მოხდეს სასამართლოზე ზეწოლა, თუნდაც ამ ტიპის განცხადებებით. აქ სხვა ტიპის დავა იხილება და იმედი დავიტოვოთ, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში იქნება. არ მინდა წინასწარი განცხადებები ვაკეთო ამასთან დაკავშირებით. სააკაშვილს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება! თუ ამის უფლება არ მოგვეცა, მკვდარიც რომ მიიყვანო, იქ იტყვიან ცოცხალიაო.

– სააკაშვილის ბედი რამდენად არის დამოკიდებული უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე? თუკი იქ მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია და დაწინაურდა უკრაინა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სააკაშვილთან მიმართებაშიც შეიცვალოს მიდგომები?

– უკრაინაში მიმდინარე პროცესები, რა თქმა უნდა, ცალსახად ასახვას ჰპოვებს სააკაშვილის სამართლებრივ პროცესებზე და მის ბედზეც. მხოლოდ სააკაშვილის კი არა, მთელი მსოფლიოს ბედი წყდება დღეს უკრაინაში. ეს რომ ასეა, ამაში ორი აზრი არ არსებობს.

ადვოკატი: „28 ივლისს სოსო გოგაშვილი გაიყვანეს ე.წ. საშხაპეში და უთხრეს, რომ ფანჯრის რაფაზე განთავსებული ტელეფონისთვის ეპასუხა“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს, დაკავებულ სოსო გოგაშვილს საპატიმროში 28 ივლისს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა დაურეკა. ამის შესახებ გოგაშვილის ადვოკატმა რამაზ ჩინჩალაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, როგორც იოსებ გოგაშვილი აცხადებს, საუბარი საკმაოდ დაძაბული იყო და ძირითადად მუქარებს შეეხებოდა.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ ცნობილია, რა ნომრიდან ხდებოდა იოსებ გოგაშვილთან დაკავშირება და ასევე, რა ნომერი იყო მოთავსებული იმ ტელეფონში, რომლითაც იგი პასუხობდა შს მინისტრს.

– 28 ივლისს იოსებ გოგაშვილი, რომელიც მოთავსებულია მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში, გაიყვანეს ე.წ. საშხაპეში, სააბაზანო ოთახში და მას მიუთითეს ფანჯრის რაფაზე განთავსებულ ტელეფონზე და უთხრეს, რომ ტელეფონი დარეკავდა და იოსებ გოგაშვილს ეპასუხა აღნიშნული ტელეფონისათვის. რამდენიმე წუთში ტელეფონზე განხორციელდა ზარი. იოსებ გოგაშვილმა, რა თქმა უნდა, უპასუხა და მას ესაუბრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. როგორც იოსებ გოგაშვილი აცხადებს, საუბარი მათ შორის იყო საკმაოდ დაძაბული და ძირითადად აღნიშნული საუბარი შეეხებოდა მუქარებს – იმ შემთხვევაში თუ იოსებ გოგაშვილი არ გაჩუმდებოდა, გაეთვალისწინებინა თუ რა შეიძლება დამართნოდა როგორც იოსებ გოგაშვილს, ასევე მის ოჯახს, ახლობლებს და ა.შ.

იოსებ გოგაშვილსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის საუბარი შედგა იგივე წესით მეორე დღესაც. მეორე დღეს მოთხოვნა იყო გაჩუმებულიყო იოსებ გოგაშვილი, მისი ოჯახის წევრები და პირველი მოთხოვნა იყო, რომ იოსებ გოგაშვილის მანამდე გაჟღერებულ ინფორმაციებთან დაკავშირებით მიეწოდებინა მათთვის სასურველი ინფორმაცია. რადგან აუცილებელი იყო არა მარტო იოსებ გოგაშვილის, არამედ მისი ოჯახის წევრების გაჩუმებაც, დაჰპირდნენ იოსებ გოგაშვილს, რომ მასთან მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში შეიყვანდნენ ოჯახის წევრებს, რათა დალაპარაკებოდა იოსებ გოგაშვილი გაჩუმების თაობაზე. იოსებ გოგაშვილთან ორჯერ მოხდა ოჯახის წევრების შეხვედრა და დალაპარაკება ეს იმ პირობებში, როცა იოსებ გოგაშვილთან მიმართებაში ოფიციალურად დადგენილებაა გამოტანილი, რომ აკრძალული ჰქონდა ოჯახის წევრებთან და ნებისმიერ პირთან, ადვოკატების გარდა, პაემანი და სატელეფონო კომუნიკაცია. დღეს ცნობილი არის, თუ რა ნომრიდან ხდებოდა იოსებ გოგაშვილთან დაკავშირება და ასევე, რა ნომერი იყო მოთავსებული იმ ტელეფონში, რომლითაც იგი პასუხობდა შს მინისტრს, – განაცხადა ადვოკატმა.

სოსო გოგაშვილის მეუღლე: „მივმართავ იუსტიციის და შს მინისტრებს, სუს-ის უფროსს და პრემიერს...“

მინდა მივმართო იუსტიციის მინისტრს, შს მინისტრს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს და პრემიერს – თუ ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს ან რომელიმე ახლობელს რაიმე ზიანს მიაყენებენ ან ქუჩაში რაიმე პროვოკაციას მოგვიწყობენ, პირადად მათ ვაკისრებ პასუხისმგებლობას, – ამის შესახებ სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის მეუღლე თეა მარტყოფლიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც გოგაშვილის მეუღლემ აღნიშნა, მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში არც სოსო გოგაშვილის უსაფრთხოება არ არის დაცული.

მისი თქმით, ყველაფერი თანხმდება „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილთან.

– მინდა მივმართო იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს, შს მინისტრ ვახტანგ გომელაურს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროს გრიგოლ ლილუაშვილს და პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს – თუ ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს ან რომელიმე ახლობელს რაიმე ზიანს მიაყენებენ, ან ქუჩაში რაიმე პროვოკაციას მოგვიწყობენ, პირადად მათ ვაკისრებ პასუხისმგებლობას, მათ შორის ჩემი მეუღლის უსაფრთხოება არ არის დაცული მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში.

მის (ბიძინა ივანიშვილის) გარეშე ხომ არაფერი ხდება, სპეცოპერაციაც მის გარეშე არ იქნებოდა დაგეგმილი. ყველაფერი თანხმდება ბიძინა ივანიშვილთან და ისე ხდება ეს ყველაფერი. ჩვენ აკრძალული გვქონდა ტელეფონზე საუბარი, კომუნიკაცია, შეხვედრაც და მოულოდნელად, ორჯერ შეგვიყვანეს ჩემს მეუღლესთან. თუკი არ შეიძლებოდა, როგორ მოხდა ჩვენი შესვლა იქ?! – განაცხადა სოსო გოგაშვილის მეუღლემ.

შეგახსენებთ, ამავე ბრიფინგზე გოგაშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ სოსო გოგაშვილს ციხეში ორჯერ შინაგან საქმეთა მინისტრმა დაურეკა, რომელიც დაემუქრა და გაჩუმება მოსთხოვა.

– 28 ივლისს იოსებ გოგაშვილი, რომელიც მოთავსებულია მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში, გაიყვანეს ე.წ. საშხაპეში, სააბაზანო ოთახში და მას მიუთითეს ფანჯრის რაფაზე განთავსებულ ტელეფონზე და უთხრეს, რომ ტელეფონი დარეკავდა და იოსებ გოგაშვილს ეპასუხა აღნიშნული ტელეფონისათვის. რამდენიმე წუთში ტელეფონზე განხორციელდა ზარი. იოსებ გოგაშვილმა, რა თქმა უნდა, უპასუხა და მას ესაუბრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. როგორც იოსებ გოგაშვილი აცხადებს, საუბარი მათ შორის იყო საკმაოდ დაძაბული და ძირითადად აღნიშნული საუბარი შეეხებოდა მუქარებს – იმ შემთხვევაში თუ იოსებ გოგაშვილი არ გაჩუმდებოდა, გაეთვალისწინებინა თუ რა შეიძლება დამართნოდა როგორც იოსებ გოგაშვილს, ასევე მის ოჯახს, ახლობლებს და ა.შ. – განაცხადა ადვოკატმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„უკრაინაში პუტინი როცა გადატყდება, ივანიშვილი აქედან „მოტყდება“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლება მზად არის, ახალი რუსული უბნები და ახალი რუსული ქალაქები ააშენოს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, „ოცნებიდან“ გასულმა დეპუტატებმა სკანდალური განცხადება გაავრცელეს. ისინი აცხადებენ, რომ რადიკალური ოპოზიციის დღის წესრიგი ამერიკის საელჩოს მიერ არის კოორდინირებული.

– ბიძინა ივანიშვილი ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ კოალიციას ღიად შეუერთდა. ეს იყო ბოლო წვეთი. ის უკვე ღიად არის პუტინისა და კიმ ჩენინის კლუბში. ვხედავთ, როგორ იზრდება დღითიდღე ანტიდასავლური, ანტიამერიკული განწყობები და ეს ყველაფერი ხდება მიზანმიმართულად, დაგეგმილად. „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ივანიშვილის გეგმა განახორციელოს ქვეყნის ინტერესების ხარჯზე. ეს არის სპეციოპერაცია.

საბჭოთა კავშირში, ბოლო პერიოდში არ ხდებოდა ის, რაც ახლა ხდება ამერიკის მიმართ, ხელისუფლების მხრიდან. ეს სრულიად მიუღებელია. ივანიშვილის რუპორები დგანან და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ივანიშვილის ინტერესების სანაცვლოდ ქვეყანა მტერზე გაყიდონ.

იმაზე კი არ არის საუბარი, რომ წლობით ნაშენებ პარტნიორულ ურთიერთობებს ძირს უთხრიან და ანადგურებენ, საუბარია იმაზე, რომ ქვეყანას მტერზე ყიდიან. ეს არის ქართველი ხალხის, ამ ქვეყნის ღალატი და მოხრჩობა. საქართველოს დასავლეთის, ამერიკისა და ევროკავშირის გარეშე გადარჩენის, არსებობის არავითარი შანსი არ გააჩნია. ამ შანსს, სახელმწიფოებრობის შანსს გვართმევენ.

– თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, რაში უნდა აწყობდეს ასეთი დაპირისპირება ამერიკის შეერთებულ შტატებთან? ძალიან სერიოზულ ბრალდებაზეა საუბარი.

– ამერიკა მხარს უჭერს არა რევოლუციას, არამედ ევოლუციას და ამას ჩვენ ვხედავთ. ივანიშვილის რეჟიმი ბოლო სტადიაშია. სულს ღაფავს. ეს კატასტროფა, ეს კოშმარი, სწორედ იმ საზიზღარ ბრალდებას ვგულისხმობ, ამის დასტურია. სხვაგვარად შეუძლებელია, რომ საღად მოაზროვნე, ნორმალურმა ადამიანმა იფიქროს, შეიძლება აქ რაიმე სიმართლის მარცვალი ერიოს.

ეს შეთითხნილი ბრალდება სავაჭროდ სჭირდება. ვაჭრობის დიდი სპეციალისტია. ფიქრობს, ამ შემთხვევაშიც გაუვა და ამერიკასთანაც ივაჭრებს. სანქციების ეშინია და ამიტომ არის ამ კოშმარში. მისი მორჩილები, დეპუტატებად წოდებულები კი მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ, ოღონდ თვითონ დეპუტატობა შეინარჩუნონ, მათ უფროსს კი ქვეყნის უფროსობა შეუნარჩუნონ, მაგრამ ასე ვეღარ გამოვა. ხალხი გამოფხიზლდა. არ შეიძლება, ქვეყანა ერთი კაცის ინტერესების სადარაჯოზე იდგეს და სახელმწიფო გადაყვეს ერთი ადამიანის ქონებას. ეს დაუშვებელია.

როგორც კი უკრაინაში გადატყდება პუტინი, აქ, ივანიშვილი არათუ გადატყდება, საერთოდ „მოტყდება“, გათავდება, მაგრამ სხვის იმედზე არ უნდა ვიყოთ. ხომ ხედავთ, სამშენებლო კომპანია „ორბი“ ცათამბჯენებს რუსებისთვის აშენებს.

ეს ხელისუფლება მზად არის, ახალი რუსული უბნები და ახალი რუსული ქალაქები ააშენოს. მზად არის, ტურისტების საფარქვეშ რუსებს ფართოდ გაუღოს კარი და ჩამოასახლოს. რამდენიმე წელიც არ იქნება საჭირო, რუსები წაგვლეკავენ. ყველა გზა აქეთკენ მიდის. ისე გაამარტივეს ბინადრობის მოწმობის აღება, რომ რუსები უკვე საკუთარ სამშობლოში გრძნობენ თავს, ყიდულობენ სახლებს ბათუმსა და თბილისში, უკვე საკუთარი უბნებიც კი მოიწყვეს. ამათ რომ ჰკითხოთ, ტურისტები ჩამოვიდნენ, ასე დაგვცინიან. მე ვერც ერთი ეს „ტურისტი“ უკან დაბრუნებული ვერ ვნახე. ეს ყველაფერი რუსების ჩამოსახლებისთვის ხდება, რომ ფართოდ გაუღონ კარი. ეს უნდა დასრულდეს, მაგრამ ამისთვის ჯერ ჩვენ უნდა გამოვფხიზლდეთ, ხალხი.

– ოპოზიციას ახალი გეგმა, ტაქტიკა ექნება შემოდგომისთვის?

– მე ერთი რამ ვიცი, შემოდგომა ნამდვილად იქნება ცხელი. „ქართული ოცნება“ ასეთი გალაღებული ვეღარ იქნება. დღეს რასაც უნდა, იმას ამბობს და იმას აკეთებს. ეს უნდა დავასრულოთ. უკრაინაში პუტინი დასრულდება და საქართველოში ივანიშვილი დამთავრდება. ვეღარ იბოგინებენ მისი ხელის ბიჭები.

– აქციები იქნება?

– აუცილებლად. აქციები იქნება და დარწმუნებული ვარ, ხალხიც გამოვა. შეუძლებელია აიტანო ის, რაც დღეს ხდება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ არა ისევ რომელიმე ერთი პარტიის მოყვანას ხელისუფლებაში და ამ ქვეყნის ბატონ-პატრონად დასმას, არამედ უნდა შევძლოთ კოალიციური მთავრობის ფორმირება. პარლამენტში არც ერთ პარტიას, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უნდა ჰქონდეს უმრავლესობა. ძალთა თანაფარდობა უნდა იყოს, რომ მერე ასეთი ბელადები არ მოგვევლინონ. ბელადომანია ერთხელ და საბოლოოდ უნდა დავასრულოთ. მე მჯერა, რომ ქართველი ხალხი ამას შეძლებს.

„ნაცმოძრაობის ქმედება რუსეთის ინტერესების გატარებაა“

გიორგი გაჩეჩილაძე: „რუსეთის მიერ სამხედრო ბაზების განლაგება ნიშნავს არა მარტო საქართველოზე გავლენის მოპოვებას, არამედ რეგიონალური გავლენის მიღწევას“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

– პატონო გიორგი, თქვენ განაცხადეთ, რომ გარკვეულ ძალებს, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, აგრესორი რუსეთის გაპრავება უნდათ. ამ დროს დღეს დავაა აგვისტოს ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით. რას ემსახურება ამ საკითხზე აჟიოტაჟი?

– ეს არის კიდევ ერთი მცდელობა და იმ პიარის გაგრძელება, თითქოს ქვეყნის ხელისუფლება საქართველოში რუსულ ინტერესებს ატარებს. ცდილობენ ყველაფერი თავდაყირა დააყენონ. პიარმანქანა აქეთკენაა მიმართული. 7-ში დაიწყო ომი თუ 8-ში, ამის მტკიცებულებაა სააკაშვილის ბრძანებულება, რომელიც გამოიცა მაშინ, როდესაც ყველაფერი ფინალისკენ მიდიოდა, ანუ 9 აგვისტოს, სადაც პირდაპირ წერია, რომ 8 აგვისტოს დაიწყო ძირითადი ცხელი ფაზა, რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული ძალების დაპირისპირება. ამიტომ ნაცმოძრაობა ყოველთვის 8-ში აღნიშნავდა.

ძირითადი ისაა, თითქოს საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლებასთანაა შეკრული.

– ეს მესიჯი მუშაობს?

– საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე მუშაობს. ფაშიზმის იდეოლოგ გებელსის ტექნოლოგიაა.

– ნაცმოძრაობას თქვენ პრორუსულ ძალას უწოდებთ, რა მტკიცებულებაა, რომ ნაცმოძრაობა პრორუსული ძალაა, რომელიც თავს პროდასავლურ ძალად მიიჩნევს?

– მნიშვნელოვანია შედეგი. შედეგი ასეთია: საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. ამ ტერიტორიაზე განთავსებულია სამხედრო ბაზები, რომელიც რუსეთმა 1999 წლის სტამბულის შეთანხმების საფუძველზე გაიყვანა. ეს ეუთოს გადაწყვეტილება იყო. შეთანხმება მოხდა კლინტონს, შევარდნაძესა და ელცინს შორის. მაშინ შედგა გრაფიკი. ჯერ კიდევ 2000 წლისთვის ვაზიანის სამხედრო ბაზა უნდა გასულიყო, შემდეგ ახალციხე, ბათუმი. შესაბამისად, რუსებმა ჯარი გაიყვანეს.

რუსებმა ამერიკისა და ევროკავშირის ზეწოლის საფუძველზე სამხედრო ბაზები გაიყვანეს, მაგრამ რუსეთის ინტერესი ისეთი სიტუაციის შექმნა იყო, რომ საქართველოში რუსული ბაზები დაებრუნებინა. რუსეთისთვის საქართველოში სამხედრო ბაზების განლაგება ნიშნავს არა მარტო საქართველოზე გავლენის მოპოვებას, არამედ რეგიონალური გავლენის მიღწევას სამხრეთ კავკასია – აზერბაიჯანში. საქართველო ის დერეფანია, რომლის საშუალებით შუა აზიიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან ევროკავშირისაკენ

უამრავი რაოდენობის ნავთობი და გაზი მიემართება, რაც რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან შემცირებას იწვევს.

ევროკავშირის წარმომადგენლობა, რამდენიმე კვირის წინ, აზერბაიჯანში ამიტომ იყო ჩასული. იქ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. აზერბაიჯანი ევროკავშირისთვის გაზის მიწოდებას ორჯერ გაზრდის, რაც რუსეთისთვის ძალიან მტკივნეულია.

ამ გაზმა საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიაროს. რამდენ გაზსაც გავატარებთ საქართველოს ტერიტორიაზე, იმდენი იმ გაზის 5% ჩვენ გვეკუთვნის. ანუ ეს საქართველოს ენერგოუზრუნველყოფისთვისაც მნიშვნელოვანია.

– რუსეთი, ცხადია, ამას ვერ აიტანს.

– ასეთ პირობებში რუსეთი ყველანაირად შეეცდება, ასეთი პროექტები არ განხორციელდეს. გარდა ამისა, შუა აზიის ტვირთების დიდმა ნაწილმა უკვე შეიცვალა მიმართულება, ის რუსეთზე აღარ გადის. სწორედ ამ დერეფნის საშუალებით მიემართება ევროკავშირისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ. ამიტომ გაიზარდა საქართველოში საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვა. საქართველოს პორტები ამ თვალსაზრისით საკმაოდ დატვირთულია.

– ანუ რუსეთი ამისთვის ემზადებოდა და ყველანაირად შეეცადა ეს გზა გადაეკეტა. ახლა ამბობენ, საქართველოს და სააკაშვილს ჯარის შეკავება არ შეეძლოო. ასეთ მესიჯებს უშვებენ.

– ძნელია გაუმკლავდე რუსეთის არმიას, რადგან, ჯერ ერთი, რუსეთში 140 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ჩვენთან კი – 3 მილიონ 700 ათასია. სად მათი სამხედრო პოტენციალი და სად ჩვენი სამხედრო პოტენციალი, სად მათი სამხედრო ბიუჯეტი და სად ჩვენი სამხედრო ბიუჯეტი. ეს პრობლემური საკითხია, მაგრამ ხელისუფლება უნდა იყოს გონიერი. ამიტომ იყო, რომ 2008 წლამდე ევროკავშირის, აშშ-ის წარმომადგენლობა სააკაშვილს აფრთხილებდა, პროვოკაციაზე არ წამოგებულიყო. ეუბნებოდნენ: ჩვენ ვიცით, რუსეთი პროვოკაციის მოწყობას აპირებს და პროვოკაციას არ წამოეგოთო, მაგრამ სააკაშვილმა ჩვენი პარტნიორების გაფრთხილება არ შეისმინა.

– პროვოკაციაზე წამოგებად რას მიიჩნევთ?

– მთელი ისტორიაა. როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, პირველი, რაც გააკეთა, დარეგულირებული კონფლიქტი ცხინვალთან (მაშინ ცხინვალში სამარშრუტო ტაქსები დადიოდა, ვაჭრობა იყო, ხალხი ქორწილებში, დღეობებში დადიოდა) განაახლა. 2004 წელს ცხინვალში სამხედრო დანაყოფები შეიყვანა. ამას ჩვენი სამხედრო ბატალიონის ბიჭების დატყვევება მოყვა. ის საშინელი კადრები გახსოვთ, ალბათ.

– დიახ, რომ დააჩოქეს.

– ამას მოყვა რუსების მიერ ძირითადი სამხედრო სიმაღლეების დაკავება, რომელიც მანამდე ჩვენი თავდაცვის ნაწილებს ეკავათ. გარდა ამისა, თავდაცვის შეიარაღებული ძალები, ფაქტობრივად, გამოშიგნეს. ყველა გამოცდილი სამხედრო (ამას სამხედრო ექსპერტები ამბობენ), ნაომარი, გამოცდილი (აფხაზეთის ომის დროს თუ საერთაშორისო ოპერაციების მონაწილე) სამხედრო მეთაურები გაათავისუფლეს და გამოუცდელი კადრები მიიყვანეს.

– სამხედრო ავიაციაც გააუქმეს.

– დიახ, ასევე საზღვაო ფლოტი და სამთო ბრიგადა გააუქმეს მთიან ქვეყანაში, სადაც 70% მთაა. 2007 წელს აღადგინეს ზვიად გამსახურდიას მიერ გაუქმებული ავტონომიური ოლქი.

– დიახ, „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაცია უწოდეს და საქართველოს ძირძველი ქართული ტერიტორია სხვა ქვეყნის, რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ოსეთის „სამხრეთ“ ნაწილად წარმოადგინეს, რაც ოფიციალურად ჩაწერეს დადგენილებაში.

– ახლა ბორდერიზაცია რომ მიდის და რუსები მავთულხლართებს აბამენ, სწორედ აღდგენილი „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიის საზღვრების მიხედვით აკეთებენ.

კოდორის ხეობა სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი სამხედრო ტერიტორიაა, სადაც ვერც რუსები და ვერც აფხაზები ვერაფერს ახერხებდნენ, რადგან იქ კანონიერად, 1994 წლის შეთანხმების საფუძველზე იყო განთავსებული.

– იარაღი, რომელიც 2008 წლის ომის დროს რუსებს ხელუხლებელი დაუტოვეს, რუსებმა წაიღეს და მოსკოვში გამოფინეს.

– მთავარს ვამბობ, მათ შეთანხმება დაარღვიეს. ამით რუსებს მოქმედების საშუალება მისცეს. 2008 წლის მაისში საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში, რუსეთიდან სამხედრო ნაწილები უკვე შემოყვანილი იყო.

– ცხინვალის რეგიონშიც იყო შემოყვანილი, ჯავაში.

– დიახ, ორი ქვედანაყოფი შემოიყვანეს, რომელიც ჯავასა და ცხინვალის მიდამოებში განალაგეს. ამაზე მაშინდელ ხელისუფლებას პროტესტიც არ გამოუხატავს. 2008 წლის ივნისში რუსეთი ჩრდილო კავკასიაში წვრთნებს ატარებდა. წვრთნები დაამთავრეს და ჯარი როკის გვირაბთან განალაგეს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მაშინდელ ე.წ. ხელისუფლებას ამასთან დაკავშირებით პროტესტი არ გამოუხატავს. პირიქით, როდესაც დამატებითი სამხედრო ნაწილების შემოსვლა დაიწყო, ამას მალავდნენ და ამბობდნენ, რუსები კონფლიქტში არ მონაწილეობენო.

არსებობს ვიდეოინტერვიუები, სადაც მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ ვაშაძე ამბობდა, რომ რუსები არაფერ შუაში არიანო. იგივეს ამბობდა მინისტრი იაკობაშვილიც. გარდა ამისა, რუსეთმა 8 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოში მოგვასწრო ჩივილი.

მათი მიზანი კარგად ჩანდა, როცა რუსეთმა ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში ცხინვალიდან მოსახლეობა გაიყვანა. ეს ხომ უკვე ფაქტი იყო იმისა, რომ რაღაცას ამზადებდა.

– ომში რა გააკეთეს, ვიცით, მაგრამ ომის შემდეგ რუსეთს სანქციებიც რომ არ დაწესებია, ეს რას ნიშნავს?

– მაშინ ნაცმოძრაობას რუსეთისთვის სანქციების დაწესებაზე ხმა არ ამოუღია. ომის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს რუსეთის მოქალაქე გრიგოლ ვაშაძე, როცა ცნობილი იყო, რომ ეს კაცი საბჭოთა კავშირის ბირთვული და ატომური შეიარაღების განყოფილებაში მუშაობდა, ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ გრიგოლ ვაშაძე კგბ-ს ოფიცერია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 2008 წლის ოქტომბრის დასაწყისში, საქართველოს დელეგაციამ ევროსაბჭოს რეზოლუციას დაუჭირა მხარი, სადაც წერია, რომ საქართველომ დაიწყო ომი და კასეტური ბომბები გამოიყენა.

– იგივე წერია ტალიავინის კომისიის დასკვნაშიც.

– რეზოლუციაზე ხელმოწერით ნაცმოძრაობამ მხარი დაუჭირა იმას, თითქოს საქართველომ დაიწყო საომარი მოქმედებები და საერთაშორისო დონეზე აკრძალული კასეტური ბომბები გამოიყენა. ამით, ფაქტობრივად, რუსეთს საერთაშორისო დონეზე თავის მართლების იურიდიული საფუძველი მისცა.

2008 წლის დეკემბერში რუსეთის მოქალაქე გრიგოლ ვაშაძე საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა და დეკემბრის ბოლოს საქართველოს ყველაზე დიდ სტრატეგიულ ობიექტთან, ენგურჰესთან დაკავშირებით, რუსეთთან მემორანდუმს ხელი მოაწერა ერთობლივი ექსპლუატაციის შესახებ. ამის შემდეგ რუსეთს ენერგეტიკული ობიექტები გადასცა და რუსეთი საქართველოში ეკონომიკურადაც გააძლიერა.

2010 წელს ჰაგის ტრიბუნალმა, რომელიც საქართველო-რუსეთის ომის დანაშაულებს იხილავდა (ეს არის გაეროს საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელიც იხილავს სახელმწიფოთაშორის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

ბიჭვინთის აგარაკის თემამ სასექტემბროდ გადაიწია

მიმართავს თუ არა ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტი ხელმეორედ საკონსტიტუციო სასამართლოს

მარიამ მჭედლიშვილი

ბიჭვინთის აგარაკის რუსეთისთვის გადაცემის მტკივნეული საკითხი ისევ ჰაერშია გამოკიდებული. თემამ სასექტემბროდ გადაიწია. ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ეტაპზე ვერ მიიღო გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა ბიჭვინთის აგარაკის თაობაზე რუსეთთან დადებული შეთანხმება აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას. სასამართლომ პარლამენტს დაუბრუნა თავისი განაცხადი და მიმართა, წარმოადგინოს პოზიცია ამ საკითხზე. 8-9 სექტემბრამდე აფხაზეთის პარლამენტი არდადეგებზე იმყოფება. ამდენად, თავის სიტყვას პარლამენტი (სახალხო კრება) დაახლოებით ერთ თვეში იტყვის.

რა ხდებოდა მანამდე, ვიდრე ამაზე საზოგადოებაში მღელვარება დაიწყებოდა?

აფხაზეთის პარლამენტის საერთაშორისო და საპარლამენტთაშორისო კავშირების კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე მხარი დაუჭირეს შეთანხმების რატიფიკაციას რუსეთსა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში აფხაზეთის მთელი რიგი ობიექტების (ბიჭვინთის აგარაკების) გადაცემის შესახებ. პარლამენტს რეკომენდაცია მიეცა, მოახდინოს მისი რატიფიკაცია.

შეთანხმებას ხელი მოეწერა მიმდინარე წლის 19 იანვარს. ის ითვალისწინებს რუსეთისათვის „ქონებრივი კომპლექსების“ უსასყიდლოდ გადაცემას, აგრეთვე საზღვაო აკვატორიის მიმდებარე მიწის ნაკვეთების იჯარით დათმობას.

ბიჭვინთის აგარაკით რუსეთი 1995 წელს ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე იჯარის წესით სარგებლობდა. შეთანხმების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის დაცვის მთავარ სამმართველოს ეძლევა უფლება, უსასყიდლოდ ისარგებლოს ბიჭვინთაში განლაგებული მე-8, მე-9 და მე-10 აგარაკებით არსებულ საზღვრებში და სხვა უძრავი ქონებით.

რას ფიქრობენ პრობლემაზე ამ მომენტში აფხაზეთში?

ჟურნალისტი ანტონ კრივენიუკი:

– საზოგადოება განაწყენებულია ამგვარი გარიგებების კულუარულობის გამო. გარიგება სახელმწიფო აგარაკის შესახებ ყველაზე ცნობილია. არსებობს აგრეთვე კალმახის საშენი მეურნეობის გასხვისების, აგრეთვე სხვა მიწის დიდი ნაკვეთების თაობაზე გარიგებების მაგალითები. ეს გამოწვეულია უბრალო რამით: აფხაზეთში ხელისუფლება იშვიათად აღწევს თავისი ფორმალური ვადის ბოლომდე. ვინც ხელისუფლებაში აღმოჩნდა, იმათი ამოცანაა გაინაწილონ ყველაფერი, რისი გაყოფაც შესაძლებელია.

ჟურნალისტი იზიდა ჭანია:

– სახელმწიფო აგარაკზე გარიგება ერთადერთი არ არის. არის ასევე გარიგება საკალმახე მეურნეობის თაობაზე. მე მტკიცებულებები არ მაქვს, მაგრამ „აფხაზეთის სახალხო მოძრაობის“ ლიდერი ადგურ არძინბა აცხადებს, რომ პრეზიდენტი (ასლან ბჟანია) აპირებს, მიჰყიდოს ეს მეურნეობა თავის ნათესავებს.

სამოქალაქო აქტივისტი **ჯანსუღ ადლეიბა,** რომელიც აგარაკის გასხვისების წინააღმდეგ შიმშილობდა:

– ასეთი გარიგებების მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლება გაემიჯნა ხალხს. ხელისუფლება არღვევს რა კონსტიტუციას, თამაშობს საკუთარ თამაშს. კონსტიტუციას არღვევს ბევრი. მათ შორის, პარლამენტის წევრები. დეპუტატები ძირითადად პრეზიდენტისა და პრემიერის ხალხია. კონსტიტუციის მთავარი დამრღვევი კი პრეზიდენტი ასლან ბჟანიაა. თუ ის საკუთარი ბიზნესით უფროა დაინტერესებული, მაშინ დაკავდეს ბიზნესით. პრეზიდენტად პოლიტიკოსი გვჭირდება.

პარლამენტის წევრი დაუტ ხუტაბა:

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ არავის უნდა პასუხისმგებლობის აღება ბიჭვინთის აგარაკზე?

– პარლამენტს მოუწევს პასუხისმგებლობის აღება.

– იქნებ, პარლამენტში ბევრს იმის იმედი ჰქონდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იტყოდა, „ყველაფერი ნორმალურადაა“ ან „არ არის ნორმალურად“-ო ?

– თუ საკონსტიტუციო სასამართლო გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომ შეთანხმება ეწინააღმდეგება აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას, საკითხი საერთოდ მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან. ჩვენი კანონმდებლობით, დაუშვებელია იმ შეთანხმების რატიფიკაცია ან მასში მონაწილეობა, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

დავით არახამია: „ივანიშვილისა და მისი მსახურებისთვის ახალ პასპორტს ვაქვეყნებ“

უკრაინის რადაში ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე დავით არახამია უკრაინელი დეპუტატებისა და სხვა მაღალჩინოსნებისთვის დიპლომატიური პასპორტის შეჩერების შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება და განმარტავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების ინიციატორი თავად იყო.

არახამია ვიდეომიმართვას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ მან უკვე აიღო ახალი დიპლომატიური პასპორტი, აშშ-ის 5-წლიანი ვიზიტით, რომელსაც „სპეციალურად ივანიშვილისა და მისი მსახურებისთვის“ აქვეყნებს.

ამასთან, არახამია ვიდეოში საქართველოს მთავრობას 2008 წლის აგვისტოს ომის 14 წლის თავზე გაკეთებული განცხადებების გამოც აკრიტიკებს და როგორც აცხადებს, ელოდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას თავის ქვეყანასთან მიმართებაშიც არ ეყოფოდა გამბედაობა, აგრესორი გაეკიცხა.

– დღეს, რამდენიმედღიანი სპეციალური პაუზის შემდეგ, გადავწყვიტე ვიდეო გამომექვეყნებინა. მაინტერესებდა, 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას რა რეაქცია ექნებოდა და ეყოფოდა თუ არა ვინმეს გამბედაობა, უკრაინასთან თუ არა, თავის ქვეყანასთან მიმართებით მაინც გაეკიცხა აგრესორი და გაეხსენებინა, რა მსხვერპლი და ზარალი მოიტანა რუსეთის ომმა საქართველოში.

მოხდა ისე, როგორც ველოდი. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან არანაირი რეაქცია არ ყოფილა, რაც შიშით და რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობითაა განპირობებული. ქართული მედიისთვის თვალყურის დევნების დროს ერთადერთი, რაც ვიპოვე, ჩემი ინიციატივით პარლამენტის დეპუტატებისთვის, მათ შორის ჩემთვის, რადგან მეც დეპუტატი ვარ, დიპლომატიური პასპორტის ჩამორთმევისა და მათი დასჯის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია იყო. ეს გააზვიადეს და ამ ამბისგან რაღაცა სპეცოპერაცია შექმნეს.

ახლა კი, სპეციალურად ბატონი ივანიშვილისა და მისი მსახურებისთვის ახალ დიპლომატიურ პასპორტს გამოვაქვეყნებ, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების 5-წლიანი სამთავრობო ვიზაა. უნდა გაიგოთ, რომ მსგავსი ვიზები საბედნიეროდ თქვენთვის ხელმისაწვდომი აღარ არის. ვიმედოვნებ, რომ სანქციების მერვე პაკეტში, რომელსაც ევროკავშირი უახლოეს მომავალში დაამტკიცებს, ვნახავთ, ვინ რას წარმოადგენს, ვის რა პასპორტი ექნება და ვინ სად იქნება. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, გკოცნით, – განაცხადა არახამიამ, რომლის ვიდეომიმართვის თარგმანს „მთავარი“ ავრცელებს.

ცნობისთვის, რამდენიმე დღის წინ უკრაინულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასობით დიპლომატიური პასპორტი გააუქმა, მათ შორის გადაწყვეტილება შეეხო უკრაინელ დეპუტატებსაც. აღნიშნულ სიაში მაღალჩინოსნებს შორის ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე დავით არახამია, ლიზა იასკო და ალექსი გონჩარენკოც იყვნენ.

სააკაშვილის ძმა: „მიხეილ სააკაშვილს 14 დიაგნოზი აქვს დასმული“

„უკვე 14 დიაგნოზი აქვს დასმული და ბოლო 3 დღეში 3 დიაგნოზი დაემატა, რაც კატასტროფის ტოლფასია – ერთადერთი ხსნა, რომ ადამიანი გადავარჩინოთ, არის მისი საზღვარგარეთ გადაყვანა“ – ამის შესახებ ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ძმამ, გიორგი სააკაშვილმა კლინიკა „ვივამედში“, მიხეილ სააკაშვილის მონახულების შემდეგ, ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი შეფასებით, რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ კლინიკაში გადაყვანა, რადგან ამას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს.

როგორც ყოფილი პრეზიდენტის ძმამ აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილი საკვებს, ფაქტობრივად, არ იღებს, ხოლო კლინიკაში შესვლის დღიდან მან 11 კილო დაიკლო.

– ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის. ჩემი ვარაუდი გამართლდა, მართლაც ძალიან სუსტად არის. საუბრისას გაირკვა, რომ ბოლო 2-3 დღის მანძილზე დაემატა კიდევ 3 დიაგნოზი და აქედან არის დასკვნა, რომ საქართველოში ვერ ხერხდება, უკეთესობისკენ განვითარდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამიტომ ჩვენ ველოდებით უცხოელი ექსპერტების ჩამოსვლას, რომ სიტუაციის შეფასება მოხდეს, რათა რაც შეიძლება მალე განხორციელდეს მისი ტრანსპორტირება საზღვარგარეთ.

თუ არ ვცდები, 14 დიაგნოზი აქვს უკვე დასმული და ბოლო 3 დღეში 3 დიაგნოზი დაემატა, რაც კატასტროფის ტოლფასია. სიცხეც აღენიშნება ბოლო 3 დღის მანძილზე. ერთადერთი ხსნა, რომ ადამიანი გადავარჩინოთ, არის მისი საზღვარგარეთ გადაყვანა. სუსტად არის, საჭმელს, ფაქტობრივად, არ იღებს და საუბრის დროს აღნიშნა, რომ კლინიკაში შემოსვლის დღიდან დაკლებული აქვს 11 კილო, რაც ძალიან ბევრია, ეს ვიზუალურად იგრძნობა, – განაცხადა გიორგი სააკაშვილმა.

მიხეილ ყაველაშვილი: „ჩვენთან ომი თუ უნდა რუსეთს, ვინ შეუშლის ხელს?!“

რუსეთს თუ ომი უნდა, ხელს ვინ შეუშლის?! – ბანერები (წარწერით „ომი რუსეთს უნდა და არა დასავლეთს“) არ მომეწონა, რადგან რასაც ვლაპარაკობთ, იმის საწინააღმდეგო კამპანიაა, – ამის შესახებ „ქართული ოცნებიდან“ წასულმა დეპუტატმა მიხეილ ყაველაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

ყაველაშვილმა უკრაინის მრჩევლის, მიხაილო პოდოლიაკის განცხადება შეაფასა, რომელიც, მისი თქმით, საქართველოს ომში ჩართვისკენ მოუწოდებდა. სწორედ ამ კონტექსტში ახსენა ყაველაშვილმა ბანერები.

– უბედურებაა, რომ ჩვეულებრივ ამბად მიგაჩნიათ, როცა შენი ქვეყნის მოქალაქეზე უცხო ქვეყნის მოქალაქე ასეთ ტონში საუბრობს. უკვე ზედაპირზე ამოდის და მერე კიდევ კარგად გაიშიფრება და გეცოდინებათ, ვინ მოუწოდებდა (ომში ჩართვას). ახლა გამოხვედით ბანერებით – „ომი უნდა რუსეთს“ და დავწერეთ კიდეც, რომ „იუესაიდით“ დაფინანსებული კლიპები იყო გაშვებული. პირდაპირ ვამბობ, ეს ადამიანები მოგვიწოდებდნენ ომში ჩართვას, ეს ადამიანი მოგვიწოდებდა (პოდოლიაკი) ომში ჩართვისკენ. ომი რუსეთს თუ უნდა... ჩვენთან ომი თუ უნდა რუსეთს, ვინ შეუშლის ხელს?! – განაცხადა ყაველაშვილმა.

კითხვაზე, ისინი შეუშლიან თუ არა ხელს, ყაველაშვილი კითხვითვე პასუხობს: „რას ნიშნავს, შევუშლი თუ არ შევუშლი?“

– მე, ნახეთ, რას ვიძახი – ბანერები იმიტომ არ მომეწონა, რომ ომში ვინც მოგვიწოდებს, იმ ადამიანებს არც ერთი არ ემიჯნებით. ეს არის უბედურება და ბანერებით გამოდიხართ, რომ „ომი რუსეთს უნდა“. ყველაზე კარგად ჩვენ რუსეთი ვიცით, სამჯერ გვქონდა ომი. თუ არ გინდათ გაიგოთ, ეს სხვაა. ბანერები იმიტომ არ მომეწონა, რომ ესეც კამპანიაა, რასაც ვლაპარაკობ იმის საწინააღმდეგო. ესაა უბედურება, ეს არის ხელოვნურად შექმნილი კამპანია, რომელიც ფინანსდება. ამას ვამბობ, ორმაგი სტანდარტია – თან მოგიწოდებს ომში ჩართვას და თან გეუბნება – „აქ ომი ვის უნდა? ვინ ნორმალურს შეიძლება ომი უნდოდეს?“ პირდაპირ გეუბნებით, ვის უნდა – დენილოვი ვინ არის, გონჩარენკო ვინ არის? ომში ჩართვაზე მოგიწოდებს ცოცხალი ადამიანი პირდაპირ.

ეს ბანერები აქამდე რატომ არ გამოიტანეთ?! 6 თვეა ომი მიდის, გუშინწინ რატომ გამოიტანეთ? – განაცხადა ყაველაშვილმა.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

„ნაცმოძრაობის ქმედება რუსეთის ინტერესების გატარებაა“

დანაშაულებს), თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა, რომ საქართველოს მხარემ დაარღვია პროცესურები და მასალებიც არ წარადგინა, ე.ი. ნაცხელისუფლებამ ჰაგის ტრიბუნალს არ წარუდგინა რუსეთის მიერ საქართველოში ჩადენილი დანაშაულების მტკიცებულებები.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 2014 წელს, ჰაგის ტრიბუნალმა პროცესი განაახლა. მაშინ იუსტიციის სამინისტროს დიდი შრომა დასჭირდა, გადამალული მტკიცებულებები რომ მოეძიებინა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებდნენ დოკუმენტებს, გამოყენებული იარაღის ნაწილებს. შემდეგ ყველაფერი სამინისტრომ ჰაგის ტრიბუნალს წარუდგინა, ამის შემდეგ საოცარი რამ მოხდა – რუსეთმა ჰაგის ტრიბუნალი დატოვა და საერთაშორისო კონვენციიდან გავიდა. კრემლის პრესსპიკერმა ზახაროვამ განაცხადა, რუსეთმა ჰაგის ტრიბუნალი იმიტომ დატოვა, ჰაგის ტრიბუნალი საქართველოს პოზიციას მხარს უჭერსო.

– 2010 წელს ლარსის სამხედრო გზაც გაუხსნა რუსეთს გიურმის ბაზისკენ სამხედრო ტვირთების გადასაზიდად. ასევე ცალმხრივად მოხსნა საიზო რეჟიმი, ახლა კი დახურვას ითხოვენ, მაგრამ საინტერესოა, ომის თავიდან აცილება თუ შეიძლებოდა?

– ომის აცილება შეიძლებოდა, რუსეთს სიტუაცია რომ არ მოემზადებინა და არ დარწმუნებულიყო, რომ იოლად ვერ შეძლებდა თავისი მიზნის მიღწევას.

– ამბობთ, სიტუაცია მოუმზადესო. ეს რის მანიშნებელია?

– ეს უფრო ნაცმოძრაობის მხრიდან ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებას ჰგავს. საქართველოს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა (ნავთობსადენები, გაზსადენები), რაც ახლა უფრო გაძლიერდა. ნაცმოძრაობის საშუალებით რუსეთს ბერკეტი მიეცა, პრობლემები შეჰქმნოდა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებას, რადგან რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები წამოჭიმა.

საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების არსებობა პრობლემას უქმნის ნატოში გაწევრიანებას. თუ, დავუშვათ, ნატო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საქართველო ალიანსში გაწევრიანდეს, მაშინ ავტომატურად მე-5 მუხლი უნდა ამუშავდეს, რადგან უკვე აგრესიას აქვს ადგილი. ასევეა ევროკავშირთან დაკავშირებით. ანუ სააკაშვილმა სერიოზული წინაღობები შექმნა ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი ინტეგრაციისთვის.

– ამიტომ მიგაჩნიათ პრორუსულ ძალად? ეს ყველაფერი რის მაჩვენებელია?

– ეს ყველაფერი რუსეთის გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. ნაცმოძრაობა, ფაქტობრივად, რუსეთის ინტერესების გამტარებელი იყო და ახლაც, ფაქტობრივად, იგივეს აკეთებს.

საბერძნეთში სახლის ძარცვისას 3 ქართველი დააკავეს

საბერძნეთის ქალაქ კალითეაში სახლის ძარცვის დროს 3 ქართველი დააკავეს – ამის შესახებ ინფორმაცია ბერძნულ მედიაში ვრცელდება.

გამოცემის ცნობით, კალითეაში, სოკრატოსის ქუჩაზე მდებარე სახლის მეპატრონემ შეიტყო, რომ მისი ბინა გატეხეს. მეპატრონემ თავად გამოიძახა პოლიციელები. დააკავეს 42, 37 და 32 წლის ქართველები.

„სოკრატოსის ქუჩაზე მდებარე სახლის მეპატრონე შოკირებული იყო, როცა დაინახა, რომ უცნობმა პირმა გათიშა ოთახში დამონტაჟებული კამერა და გამოაძრო ტელეფონის კაბელი. შემთხვევა 9 აგვისტოს მოხდა. ბინის მფლობელმა სამართალდამცველებს მიმართა. ადგილზე სასწრაფოდ მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები. ისინი იარაღით ხელში შევიდნენ ბინაში და ერთ-ერთ ოთახში მიმალული სამი ქართველი, შესაბამისად 42, 37 და 32 წლის კაცები დახვდნენ. ერთ-ერთს ხელში სამზარეულოდან აღებული დანა ეჭირა ხელში. პოლიციელებმა მათ სთხოვეს დანებება და სანამ მძარცველები რეაგირებას მოახდენდნენ, მძარცველებს ხელბორკილები დაადეს“ – ნათქვამია სტატიაში.

პოლიციამ აბაზანაში იპოვა ყუთი სამკაულებით და თანხა, რომლის სახლიდან წაღებასაც დამნაშავეები ცდილობდნენ. საქმის წინასწარი გამოძიება კალითეას პოლიციამ დაიწყო.

ტრაგედია ქარელში — 12 წლის ბავშვს მანქანა დაეჯახა

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საციხურში მანქანა 12 წლის ბავშვს 8 აგვისტოს დაეჯახა. მოზარდი ადგილზე გარდაიცვალა. ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

სოფელ საციხურის წარმომადგენლის ცნობით, შემთხვევა გუშინ საღამოს მოხდა.

„ძალიან მძიმე ფაქტი მოხდა სოფელში, პოლიციელებმა გამოძიება დაიწყეს, სხვას ვერაფერს გეტყვით“ – ამბობს რწმუნებული.

როგორც ამბობენ, მოზარდი საციხური-აბანოს გზაზე მოძრაობდა. მანქანის სარკე ველოსიპედს მოედო. მოზარდი წაიქცა და მძიმე ტრავმა თავის არეში მიიღო.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში სატვირთო ავტომობილი ხევში გადავარდა, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ბორჯომის მუნიციპალიტეტში სატვირთო მანქანა ხევში გადავარდა.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად სატვირთო ავტომობილის მძღოლი გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

პროკურორი ამირან გულუაშვილი: „არასერიოზულად და სასაცილოდ მიმაჩნია საუბარი რაიმე ტიპის სანქციებზე“

პროკურორ ამირან გულუაშვილისთვის კონკრეტულ პირებზე სანქციების მოთხოვნა სასაცილოა. ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო სექტორი სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს და დასავლელ პარტნიორებს იმ მოსამართლეების, პროკურორებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეების დასანქცირებას სთხოვს, რომლებიც პოლიტიკურ დავალებებს უპირობოდ ასრულებენ.

– მეც ვიფიქრე, სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად ეს უბრალოდ ხუმრობა იყო ქალბატონი ელენეს მხრიდან... მე კიდევ ერთხელ შემიძლია გავიმეორო, რომ არასერიოზულად და სასაცილოდ მიმაჩნია საუბარი რაიმე ტიპის სანქციებზე, როდესაც ადამიანები ასრულებენ თავიანთ კანონიერ, სამსახურებრივ უფლებამოსილებას და მე მგონი, ეს თემაც უკვე აღარ არის არავისთვის საინტერესო, – ამბობს პროკურორი ამირან გულუაშვილი.

ცნობისთვის, ელენე ხოშტარიამ „ოლიგარქიის საყრდენი“ პროკურორები დაასახელა და მათი სანქცირება მოითხოვა, მათ შორისაა ამირან გულუაშვილი.

რა მოხდა დათვის ჯვრის უღელტეხილზე, სადაც 30 უცხოელი იმყოფებოდა

მაშველებმა დათვის ჯვრის უღელტეხილის მიმდებარედ ორ ადამიანს დახმარება აღმოუჩინეს. ისინი 30-კაციან ჯგუფთან ერთად გადაადგილდებოდნენ.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოპერატიულ მართვის ცენტრში ამერიკის შეერთებული შტატების, გარმინის საერთაშორისო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კოორდინაციის ცენტრიდან შემოვიდა შეტყობინება, რომ დუშეთის რაიონში, დათვის ჯვრის უღელტეხილის მიმდებარედ გადაადგილდებოდა უცხოელ მოლაშქრეთა 30-კაციანი ჯგუფი, რა დროსაც ორი მათგანი გახდა შეუძლოდ და ჯანმრთელობის გაუარესების გამო ესაჭიროებოდათ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა.

შეტყობინების შემოსვლისთანავე, მითითებულ ლოკაციაზე მეხანძრე-მაშველთა 10-კაციანი ჯგუფი სრული სამთო აღჭურვილობით გაემგზავრა.

რთული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მეხანძრე მაშველები ფეხით გადაადგილდებოდნენ. მაშველებმა და დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა ოპერატიულად დაადგინეს უცხოელ მოლაშქრეთა ჯგუფის ადგილმდებარეობა, რის შემდეგაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ორი მოქალაქე, თანმხლებ პირებთან ერთად, დაახლოებით 15 კილომეტრის მანძილზე საავტომობილო გზამდე ჩამოიყვანეს.

შეუძლოდ მყოფი მოლაშქრეები ამ დროისთვის სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი და მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

სამაშველო ღონისძიებაში ჩართული იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოსა და განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს მეხანძრე-მაშველები. ასევე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის თანამშრომლები“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

ახალქალაქში პოლიციის უფროსის მოადგილე და ყოფილი დეპუტატი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ



10 აგვისტოს, დაახლოებით 17:00 საათზე, ახალქალაქის ცენტრში ერთმანეთს სოფელ კუმურდოს ყოფილი დეპუტატი, აშოტ საარიანი და პოლიციის თანამშრომლები, მათ შორის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე, ანდრანიკ პეტროსიანი დაუპირისპირდნენ – ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა „ჯკნიუს გი ავრცელებს“.

გავრცელებული ინფორმაციით, სიტყვიერი დაპირისპირების და ხელის კვრის შემდეგ, აშოტ საარიანი სამართალდამცავებმა პოლიციის მანქანაში ჩასვეს და წაიყვანეს. რა გახდა დაპირისპირების მიზეზი, ამ ეტაპზე უცნობია.

შინაგან საქმეთა სამინისტროში „მთავარი არხის“ ვებგვერდს განუცხადეს, რომ აშოტ საარიანი ადმინისტრაციულად არის დაკავებული. მას ედავებიან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დარღვევას, რაც პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

1 500 ლარი ჯარის გადავადების სანაცვლოდ

დაკავებულია ოზურგეთის მერიის ყოფილი თანამშრომელი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ოზურგეთის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ყოფილი უფროსი ი.ლ. და ერთი მოქალაქე ბ.გ. დააკავეს.

„გამოძიებით დადგენილია, რომ ოზურგეთის მერიის ყოფილმა თანამშრომელმა, მოქალაქის დახმარებით წვევამდელისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის არაოფიციალურად გადავადების სანაცვლოდ ქრთამის სახით აიღო 1 500 ლარი“– აცხადებს სუს-ი.

გამოძიება ანტიკორუფციული სააგენტო სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის ზომად 6-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ოზურგეთის მერიის დაკავებული ყოფილი თანამშრომელი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს და თანამშრომლობს გამოძიებასთან.

ზოომაღაზიიდან გაქცეული კუ მატარებლის ბორბლებქვეშ მოყვა და გადარჩა

ბრიტანეთის ქალაქ ნორფოლკში ზოომაღაზიიდან უზარმაზარი მამრი კუ მდედრის მოსაძებნად გაიქცა, მატარებლის ბორბლებქვეშ მოყვა და ცოცხალი გადარჩა.

კუ, სახელად კლაიდი, ქალაქებს ნორიჯსა და კემბრიჯს შორის რკინიგზაზე იპოვეს. ცხოველს მატარებელი მანამდე დაეჯახა, სანამ მას მგზავრები შენიშნავდნენ. ამის შემდეგ რამდენიმე რეისი შეჩერდა. 76 სანტიმეტრი სიგრძისა და 60 კილოგრამი წონის კუს რკინიგზის ხაზიდან გადაყვანა ოთხ თანამშრომელს მოუხდა. რკინიგზის წარმომადგენელთა თქმით, მატარებლის დაჯახების შედეგად კლაიდმა დაზიანებები მიიღო, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

კლაიდი რეპტილიების სპეციალისტს გადაეცა. კუს მფლობელების თქმით, ის უსაფრთხოდაა და თავს ნორმალურად გრძნობს. ზოომაღაზიის თანამშრომელი დილონ პრესტი ფიქრობს, რომ რეპტილიამ გაქცევა იმიტომ ცადა, რომ მდედრ თანამოძმეს ეძებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ორი ბანდიტი მამაკაცს თავს დაესხა და ხელი მოაჭრა

ბრიტანეთის ქალაქ ჰადერსფილდში ორი ბანდიტი თავს დაესხა კლუბის სტუმარს და ხელი მოაჭრა.

აღნიშნული ინციდენტი სამშაბათს, 9 აგვისტოს მოხდა. ამ შემთხვევის თვითმხილველმა ქალმა განაცხადა, რომ მას „გულისგამგმირავი“ ყვირილის ხმა შემოესმა.

– ეს ყოველივე საშინელებათა ფილმს ჰგავდა, – ამტკიცებს ქალი, – მესმოდა, როგორ კიოდა მამაკაცი სიგარეტის მოსაწევ სპეციალურ კუთხეში, ხოლო ნიღბებიანი ორი ბანდიტი მისი ჩეხვით იყო დაკავებული.

ინციდენტის ერთ-ერთმა თვითმხილველმა მოჭრილი ხელი აიღო და პირსახოცში გაახვია. მეორე მოწმის თქმით კი, გაიგონა, რომ მამაკაცმა ხელი 10 ფუნტ სტერლინგის ღირებულების ნარკოტიკის შეკვრის გამო დაკარგა.

შემთხვევის ადგილზე მივიდა პოლიცია და სასწრაფო დახმარება. მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

2022, 12 აგვისტო, №158

რუსეთის ტყვეობაში „აზოვსტალიდან“ 131 უკრაინელი ქალი ჯარისკაცი იმყოფება

მარიუპოლის ქარხანა „აზოვსტალიდან“ რუსეთის ტყვეობაში ამჟამად 130-ზე მეტი უკრაინელი ქალი ჯარისკაცი იმყოფება. ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის საკითხებში, ირინა ვერეშჩუკმა განაცხადა.

– აზოვსტალიდან გვყავს 131 ქალი, მათ შორის არიან აზოვის პოლკის მსახურნი, სამხედრო ექიმები, მესაზღვრეები, საზღვაო ქვეითთა 36-ე ბრიგადა, ეროვნული გვარდიელები, შეიარაღებული ძალები და სხვა ფორმირებები, – დასძინა მან.

ვერეშჩუკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინა შეეცდება მათ გათავისუფლებას და სთხოვა მსოფლიო საზოგადოებას, ყურადღება მიაპყროს რუსეთის არასათანადო ქმედებებს სამხედრო ტყვეებთან მიმართებაში.

შეგახსენებთ, რომ 16-20 მაისს მარიუპოლის დამცველებმა „აზოვსტალი“ დატოვეს, რის შემდეგაც რუსეთის ტყვეობაში იმყოფებიან. რუსული მხარის ინფორმაციით, ქარხანა 2439-მა მებრძოლმა დატოვა. „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლებმა უკრაინელი დამცველები სამხედრო ტყვეებად დაარეგისტრირეს.

აფრიკაში საპროტესტო აქციების შედეგად რვა ადამიანი გარდაიცვალა

აფრიკაში, სიერა-ლეონეში ანტისამთავრობო საპროტესტო აქციის დროს რვა სამართალდამცავი გარდაიცვალა. ინფორმაციას CNN-ი ავრცელებს.

გარდაცვლილთა შორის ექვსი კაცი და ორი ქალია.

ოთხშაბათს ასობით მომიტინგე გამოვიდა დედაქალაქ ფრიტაუნის ქუჩებში, რომელიც დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში ცხოვრების ხარჯების და ინფლაციის ზრდას აპროტესტებდა.

პროტესტმა ზოგ შემთხვევაში ძალადობრივი ფორმაც მიიღო. მძიმედ დაშავებული მომიტინგეებისა და უსაფრთხოების ძალების ზოგიერთი წევრის გრაფიკული სურათები და ვიდეო სოციალურ ქსელშიც ვრცელდება. დაფიქსირდა უსაფრთხოების ძალების მიერ მოქალაქეების მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ფაქტიც.

უკრაინის წინააღმდეგ ომში მონაწილეობას 13 ათასამდე ბელარუსი ჯარისკაცი დათანხმდა

– უკრაინის წინააღმდეგ ომში მონაწილეობას 13 ათასამდე ბელარუსი ჯარისკაცი დათანხმდა, – ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ალექსეი გრომოვმა განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, გავრცელდა წინასწარი მონაცემები, რომლის თანახმადაც უკრაინის წინააღმდეგ ომში მონაწილეობას შესაბამისი ხელმოწერით 13 000-მდე ბელარუსი აქტიური და ყოფილი სამხედრო მოსამსახურე დათანხმდა.

– ცნობების მიხედვით, რუსეთი აგრძელებს ბელარუსის უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიან ომში ჩაბმას. წინასწარი მონაცემებით, ბელარუსის ქვედანაყოფების აქტიური და ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებიდან 13 000-მდე ადამიანმა მოაწერა ხელი შეთანხმებას უკრაინის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის შესახებ. მათი მთავარი მოტივი არის მატერიალური და ფინანსური. ამას იდეოლოგიური საკითხი არ განაპირობებს, – განაცხადა გრომოვმა.

მანვე აღნიშნა, რომ რუსეთი ბელარუსის სამხედრო ბაზებზე უცხოელ მებრძოლებს იწვევს. კერძოდ, 3 აგვისტოს მოჩუღლიშეს აეროდრომზე, რომელიც მინსკის რეგიონში მდებარეობს, რუსეთის ფედერაციის, ვიეტნამის, უზბეკეთის, კამერუნის, ლაოსის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, სირიისა და მალის პირველი უცხოური დანაყოფები ჩავიდნენ.

– ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ შეიქმნას აგრესორის ე.წ. საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის სურათი. 2022 წლის „საერთაშორისო არმიის თამაშებში“, რომელიც 13-დან 21 აგვისტომდე არის დაგეგმილი, 37 ქვეყნის წარმომადგენელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. შეუძლებელია ვიცოდეთ ბელარუსის ტერიტორიაზე ე.წ. თამაშების გამართვის რეალური მიზანი. დავსვათ კითხვა: რატომ უნდა ჩატარდეს ეს თამაშები მაინცდამაინც უკრაინის დამოუკიდებლობის დღემდე რამდენიმე დღით ადრე? წინასწარი შეფასებით, არ არის გამორიცხული, რომ განხორციელდეს დივერსია, რომელსაც მოჰყვება მსხვერპლი უცხოელ ჯარისკაცებს შორის – ამის მიზანი აღნიშნულ ქმედებაში უკრაინის დადანაშაულება იქნება, – აღნიშნა გრომოვმა.

რუსებისთვის ვიზის გაცემის საკითხი წევრი ქვეყნების კომპეტენციაა

ევროკომისიაში აცხადებენ, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემის საკითხი წევრი ქვეყნების კომპეტენციაა და ცალკეულ სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი უსაფრთხოებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება. ამის შესახებ ევროკომისიის წარმომადგენელმა ანიტა ჰიპერმა განაცხადა.

– უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის უკანონო, გაუმართლებელი აგრესიის გამო, პირველ რიგში, უკრაინა, მაგრამ ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნები დადგნენ უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ დეტალური რეკომენდაციები წევრი ქვეყნებისადმი „რუსეთთან ვიზალიბერალიზაციის რეჟიმის ნაწილობრივი შეზღუდვის შესახებ“ გადაწყვეტილების გამოყენების შესახებ. წევრი სახელმწიფოს კომპეტენციაშია, განიხილოს თითოეული განაცხადი და უარი თქვას საზოგადოებრივი წესრიგის, ან შიდა უსაფრთხოების საფუძველზე, – განაცხადა ჰიპერმა კითხვაზე, მხარს უჭერს თუ არა ევროკომისია რუსებისთვის ტურისტული ვიზების გაცემის შეწყვეტას.

ამასთან, ევროკომისიის წარმომადგენელმა კიდევ ერთი პრობლემის შესახებ ისაუბრა.

– ეს არის ის ფაქტი, რომ ბევრი საკონსულოს მუშაკი გააძევეს რუსეთიდან, რაც კიდევ უფრო ართულებს რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო განაცხადების განხილვის პროცესს, – განაცხადა ჰიპერმა, თუმცა, მისი თქმით, ევროკავშირის დონეზე მიმდინარეობს დისკუსიები წევრ ქვეყნებთან კოორდინაციის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ევროკომისიის წარმომადგენელმა დასძინა, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ საერთაშორისო ვალდებულებები და უზრუნველყონ, რომ ყოველთვის იყოს ადამიანთა კატეგორია, რომლებზეც ვიზები გაიცემა ნებისმიერ შემთხვევაში: ჰუმანიტარული მიზეზების გამო, ევროკავშირის მოქალაქეების ოჯახის წევრებისთვის, ჟურნალისტებისთვის ან დისიდენტებისთვის.

„დიდი შვიდეული“ რუსეთს მოუწოდებს, უკრაინას ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე სრული კონტროლი დაუბრუნოს

„დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრები რუსეთს მოუწოდებენ, უკრაინას ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე სრული კონტროლი დაუყოვნებლივ გადასცეს.

„რუსეთის ფედერაციამ დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები უკრაინის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებიდან და პატივი სცეს უკრაინის ტერიტორიას და სუვერენიტეტს. ამ კონტექსტში, მოვითხოვთ, რომ რუსეთმა დაუყოვნებლივ გადასცეს სრული კონტროლი მის კანონიერ სუვერენულ მფლობელს, უკრაინას, ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურსა და უკრაინის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ყველა ატომურ ობიექტზე, რათა უზრუნველყოს მათი უსაფრთხო და დაცული მუშაობა“ – აცხადებენ „დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრები.

შეგახსენებთ, 5 აგვისტოს რუსმა ოკუპანტებმა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური რამდენჯერმე დაბომბეს.

ოლექსი რეზნიკოვი: „რუსებთან მოლაპარაკების შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაჩნდება, თუ მაგიდასთან ჩვენი პარტნიორები ისხდებიან“

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი აცხადებს, რომ რუსეთთან მოლაპარაკების შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაჩნდება, თუ მოლაპარაკებების მაგიდასთან უკრაინის პარტნიორები ისხდებიან.

– მინდა გითხრათ, რომ რუსებთან მოლაპარაკების შანსის გაჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მაგიდასთან ჩვენი პარტნიორები ისხდებიან, რადგან რუსებთან საუბარს და „მინსკი-3-ის“ მიღებას არანაირი აზრი არ აქვს, – დასძინა მან.

ამასთან, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფსევდორეფერენდუმი ჩატარდება, უკრაინა აღარანაირ მოლაპარაკებებზე აღარ ისაუბრებს.

შეგახსენებთ, უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ უკრაინა არ აპირებს ტერიტორიების დათმობას და თუ რუსეთი ეგრეთ წოდებული „რეფერენდუმების“ საშუალებით დროებით ოკუპირებული რეგიონების ანექსიას შეეცდება, მაშინ მოლაპარაკებების შესაძლებლობა დაიხურება.

ბელარუსის თავდაცვის უწყების განცხადებით, „ზიაბროვკას“ სამხედრო აეროდრომზე „ერთ-ერთი ტექნიკა აალდა“

ბელარუსის თავდაცვის სამინისტრო „ზიაბროვკას“ სამხედრო აეროდრომზე მომხდარ აფეთქებებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება და ირწმუნება, რომ ინციდენტის მიზეზი „ტექნიკის ერთ-ერთი ერთეულის“ აალება გახდა.

– 10 აგვისტოს, დაახლოებით 23:00 საათზე, ძრავის გამოცვლის შემდეგ ერთ-ერთი ტექნიკა აალდა. პერსონალმა დროულად მიიღო ზომები ცეცხლის ჩასაქრობად. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, – ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

შეგახსენებთ, მანამდე მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გომელის რაიონში მდებარე „ზიაბროვკას“ სამხედრო აეროდრომზე ღამით აფეთქებების ხმა ისმოდა. უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, „ზიაბროვკას“ აეროდრომს რუსეთი აკონტროლებს.

კუნდეს საგა ბარსელონამ მოიგო

ფრანგი ფეხბურთელი ჟიულ კუნდე უკვე ბარსელონას ფეხბურთელია, მისი შეძენა მარტივი არ ყოფილა. შესაძლოა, ითქვას, მიმდინარე წლის სატრანსფერო ბაზრის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი საგა ვიხილეთ.

ყველაფერი ჯერ კიდევ 2021 წლის ივლისში დაიწყო, როცა ჩელსიმ სევილიასთან მოლაპარაკებები პირველად გამართა.

გასულ ზაფხულს, ლონდონელები კუნდეს ტრანსფერის განხორციელებასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ ივლისის მიწურულს მათ გარიგებაში ემერსონ პალმიერისა და კურტ ზუმას ჩართვა მოინდომეს, რაზეც სევილიელებმა უარი განაცხადეს.

ისტორია სატრანსფერო ფანჯრის ბოლო კვირაში გაგრძელდა და ჩელსიმ ესპანურ კლუბს 50 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ კვლავ უარი მიიღო. ანდალუსიელთა პოზიცია ნათელი იყო: ან გამოსასყიდი თანხის გადახდა, ანაც – არაფერი. ჩელსისთვის 80 მილიონის ევროს გაღება წარმოუდგენელი იყო და საქმე 2022 წლისთვის გადადო.

მიმდინარე წელს „ლურჯებმა“ მოლაპარაკებები განაახლეს – თებერვალში ინგლისურმა კლუბმა ფეხბურთელის აგენტთან 5-წლიანი კონტრაქტის დეტალები განიხილა. თუმცა, რომან აბრამოვიჩის საქმემ ყველაფერი გააჩერა – სანქციებმა და მარინა გრანოვსკაიასა და პეტრ ჩეხის გუნდიდან წასვლამ ჩელსის პარალიზება გამოიწვია.

კუნდე ჩელსის პრიორიტეტი ისევ იყო, მაგრამ ტოდ ბოელის მიერ კლუბის შეძენის, ნაპოლიდან 40 მილიონ ევროდ კულიბალის გადაბირებისა და მანჩესტერ სიტიდან ნათან აკეს ყიდვის მცდელობის შემდეგ, ვითარება შეიცვალა.

გარდა ამისა, ჩელსი პრესნელ კიმპემბეს თაობაზე პარი სენ ჟერმენთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა და 65-70 მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწია. სწორედ ამიტომ, ლონდონელები კუნდეს მიუბრუნდნენ.

ამასობაში, ბარსელონა ბრძოლაში „ჩუმ“ უკვე ჩაბმული იყო. სატელევიზიო უფლებების გაყიდვის პროცესის გამო ტრანსფერი ოდნავ შენელდა, მაგრამ კუნდესა და მის აგენტთან პოზიტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

20 ივლისს ჩელსიმ სევილიას 55-მილიონიანი წინადადებით მიმართა, რაც საკმაოდ მიმზიდველი თანხა იყო, მაგრამ ანდალუსიელთა სპორტულმა დირექტორმა მონჩიმ 2 დღე პასუხი არ გასცა. ამის გამო ინგლისური კლუბი ანერვიულდა, რასაც ისიც დაემატა, რომ დასტური არც კუნდეს მხრიდან ჩანდა.

ამ ისტორიაში მთავარი როლი სწორედ ფრანგმა ითამაშა და ბევრი რამ შეცვალა. ბარსელონა ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, როდესაც ჩავი ერნანდესი ფეხბურთელს კიდევ ერთხელ დაუკავშირდა. კლუბმა კუნდეს მოცდა სთხოვა.

პირობამ, რომ ბარსელონაში რონალდ არაუხოსთან ერთად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი გახდებოდა, კუნდე დაარწმუნა, მაგრამ პარალელურად ჩელსის ვარიანტზეც ფიქრობდა.

დეტალებმა მოლაპარაკებებში უდიდესი ფაქტორი იქონია – სევილიამ მოიცადა, რადგან ფრანგი ინგლისში გადასვლაზე თანხმობას ჯერ კიდევ არ აცხადებდა, ამასობაში კი, ჟორდი კრუიფისა და მატეუ ალემანის მეშვეობით, ბარსელონამ ანდალუსიურ კლუბს პირველი ოფიციალური შეთავაზებით მიმართა.

სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა: კატალონიურმა გრანდმა სევილიას იმაზე ნაკლები თანხა შესთავაზა, ვიდრე – ჩელსიმ, მაგრამ განსხვავებული სტრუქტურით.

შეთავაზება ასეთი იყო – 50 მილიონი ევრო ფიქსირებულად + ბონუსები. სევილიამ ისტორიული გაყიდვა განახორციელა, რაც მონჩის ნამდვილად არ ეშლება.

ბარსელონამ ტრანსფერის დახურვა შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირით ადრე წარმოუდგენელი ჩანდა. სწორედ ერთი კვირით ადრე, ფანთან საუბრისას, ჟოან ლაპორტამ თქვა – კუნდე? არა, ის ჩელსიში გადავიდა.

არადა, ბარსას ფეხბურთელებთან რეგისტრირების პრობლემა ჯერ კიდევ აქვს...

რეალი სუპერთასის მფლობელია

ჰეაღი-აინტრახტი 2:0
ჰელსინკი. ოლიმპიასტადიონი
1:0 ალაბა (37), 2:0 ბენზემა (65)

რეალი: კურტუა, კარვახალი (რუდიგერი 85), მილიტაო, ალაბა, მენდი, კროოსი (ჩუამენი 85), კაზემირო, მოდრიჩი (როდრიგო 67), ვალვერდე (კამავინგა 76), ბენზემა, ვინისიუსი (სებალიოსი 85)

აინტრახტი: ტრაპი, ტურე (ალარიო 70), ტუტა, ნდიკა, კნაუფი, სოუ, როდე (გიოტცე 58), ლენცი, კამადა, ბორე, ლინდსტრომი (მუანი 58)

უეფამ ევროსეზონი სუპერთასით გახსნა. სატიტულო მატჩში ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგის გამარჯვებული – მადრიდის რეალი და ფრანკფურტის აინტრახტი შეხვდნენ. მატჩი უფრო ტიტულოვანმა ესპანურმა გუნდმა 2:0 მოიგო.

ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე მადრიდელებმა თითო ტაიმში თითო გოლი შეაგდეს: ჯერ დავიდ ალაბამ გაიტანა, შესვენების შემდეგ კი ქარიმ ბენზემამ წერტილი დასვა.

სენსაცია არ შედგა – რეალმა დამაჯერებლად, კლასის ხარჯზე მოიგო. თუ გასულ სეზონში ფრანკფურტელები ძლიერ სათასო გუნდად გამოიყურებოდნენ, ახალში ვერაფერი საინტერესო გვაჩვენეს.

წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ აინტრახტის თავკაცმა შემადგენლობა გადაახალისა, მაგრამ მატჩის მიმდინარეობაზე ვერაფერი ზეგავლენა მოახდინა – რეალი საკუთარ თამაშს აგრძელებდა.

მე-2 გოლის შემდეგ კი, ინტრიგა მოკვდა. ყველასთვის ნათელი ჩანდა, რომ ასეთი აინტრახტი ნახევარ ტაიმში მადრიდელებთან ვერაფერს შეცვლიდა. ანჩელეტიმაც მოედანზე ახალწვეულები და სათადარიგოები შეუშვა, რათა ჯილდოს მოპოვება მათაც შეეგრძნოთ.

ასეც მოხდა და მადრიდულმა კლუბმა ევროპის სუპერთასი ისტორიაში მეხუთედ მოიგო და ბარსელონასა და მილანს დაეწია.

რეალის მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი გახდა პირველი სპეციალისტი, ვინც უეფას სუპერთასის გამარჯვებული მეოთხედ გახდა. იტალიელმა სპეციალისტმა ჯილდო ორ-ორჯერ მილანთან (2003, 2007) და რეალთან (2014, 2022) ერთად მოიგო.

ყველა ტურნირში ბენზემამ რეალის მაისურით 324-ე გოლი გაიტანა, რაულს გადაასწრო და „სამეფო კლუბის“ ყველა დროის ბომბარდირთა დავაში მე-2 ადგილზე გადაინაცვლა. მის წინ მხოლოდ კრიშტიანუ რონალდუა (450).

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კაზემირო

ბრაზილიელმა ძალიან მაგარი მატჩი ჩაატარა. მეტოქის შეტევებში ცენტრში თუ მის სიახლოვეს ახშობდა, მოიგო ორთაბრძოლების დიდი ნაწილი, ჰქონდა ბევრი ართმევა და ჩაჭრილი ბურთი, გააკეთა საგოლე პასი.

კარლო ანჩელოტი:

– ეს არ იყო იოლი მატჩი. მეტოქე მჭიდროდ გვეთამაშებოდა. გავიტანეთ, შემდეგ სიტუაციას ვაკონტროლებდით. ჩვენ მოვიგეთ, რათა სეზონი კარგად დაგვეწყო. ვფიქრობ, დადებითი განწყობა დაგვეხმარება საუკეთესო შედეგების, საუკეთესო თამაშის ჩვენებაში.

ბენზემა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი და გუნდის ლიდერია. ამ ყველაფერს დიდწილად მისი გოლების წყალობით მივაღწიეთ. კარგად ჩაამთავრა წინა სეზონი და კარგად დაიწყო ახალი. არ მგონია, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს იმაში, რომ „ოქროს ბურთს“ ის მოიგებს. ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

შვიდკაცა დღეს იწყებს

საქართველოს შვიდკაცა 12-14 აგვისტოს მსოფლიო სერიის შესარჩევ ტურნირში ითამაშებს, რომელსაც ჩილე, სანტიაგო უმასპინძლებს. თამაშები „სანტა ლაურას“ სტადიონზე გაიმართება.

მსოფლიო სერიის საგზურისთვის პლანეტის ექვსივე რეგიონის 12 გუნდი იბრძოლებს, რომლებიც სამ 4-გუნდიან ჯგუფში არიან განაწილებული. თითოეული ჯგუფის 2-2 მოწინავე და 2 საუკეთესო მეორეადგილოსანი თასის მეოთხედფინალში გადის. ჩილეში ყველა ადგილი გათამაშდება, მაგრამ სანუკვარ საგზურს მხოლოდ გამარჯვებული მიიღებს.

საქართველო ა ჯგუფში ჩილეს, სამხრეთ კორეისა და პაპუა-ახალი გვინეას ნაკრებებთან ითამაშებს; ბ ჯგუფში ჰონკონგი, ტონგა, იამაიკა და ზიმბაბვე მოხვდნენ; გ ჯგუფში ურუგვაი, უგანდა, გერმანია და ლიეტუვა.

ჩვენი 7-კაცა ჯგუფური ეტაპის პირველ თამაშს საქართველო მასპინძელ ჩილესთან გამართავს, შემდეგ სამხრეთ კორეას ვეთამაშებით, ხოლო ჯგუფურ ეტაპს საათზე პაპუა-ახალ გვინეასთან ვასრულებთ.

ჯგუფში დაკავებული ადგილის მიხედვით გველის ფლეი ოფის ერთი შეხვედრა, ბოლოს ნახევარფინალები და ფინალებია.

ჩილეში მსოფლიო სერიის შესარჩევ ტურნირზე მწვრთნელები – ბესიკ ხამაშურიძე, გია ლაბაძე შემდეგ მორაგბეებს იახლებენ:

იოსებ გუშარაშვილი, მირიან მოდებაძე, ნიკოლოზ რეხვიაშვილი, გიორგი კოშაძე, ნიკოლოზ გიგაური, გიორგი გელაშვილი, ირაკლი სიმსიკვე, გიორგი ბაბუნაშვილი, თემურ კოხოძე, ლაშა ლომიძე, თემო ჭიჭინაძე, ლევან ნარიმანიძე, გიორგი ჭუაძე.

ერგინ ატამანმი: „მასპინძელი საქართველო საშიში გუნდია“

საქართველო 2022 წლის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ა ჯგუფში საქართველოს ნაკრების გარდა, ესპანეთის, თურქეთის, ბელგიის, ბულგარეთისა და ჩერნოგორიის ნაკრები ითამაშებენ.

მთავარი ფავორიტები ესპანელი და თურქები ითვლებიან. თუმცა, თურქთა მწვრთნელი ერგინ ატამანი ესპანელების გარდა, საქართველოსაც უფრთხის.

ერგინ ატამანმი:

– ესპანეთი ყოველთვის ძლიერი გუნდია. ფურცელზე თუ მის მიღმა. რა თქმა უნდა, ხარვეზები ყველას აქვს – მათ შორის ესპანელებს. ჰყავთ ტრავმირებული მოთამაშეები, არის თაობათა ცვლის პროცესი. დაიწყეს ამხანაგური შეხვედრების გამართვა და ვაკვირდებით.

ამასთან, ძალიან საშიში გუნდია მასპინძელი საქართველო. ამ ტიპის ტურნირებში საკუთარი კედლების უპირატესობა ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ნაკრებს ჰყავს შენგელია, ნბა-დან ორი მოთამაშე, 5-6 ძალიან გამოცდილი კალათბურთელი. პირველ რიგში, ეს 2 ნაკრებია გამოსარჩევი, მაგრამ მათ გარდა არის კიდევ ჩერნოგორია, ბელგია, ბულგარეთი და აუცილებელია კარგად თამაში, თორემ არავინ არაფერს გაპატიებს.

ევროპის ჩემპიონატზე მატჩები ყოველ მეორე დღესაა, ზოგიერთი თამაში საღამოსაა, ზოგი – დღისით. ამიტომ, თითოეული შეხვედრისთვის ფიზიკურად და მორალურად მზად უნდა ვიყოთ.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ა ჯგუფს თბილისი 1-7 სექტემბერს უმასპინძლებს. კონკრეტულად საქართველოს და თურქეთის ნაკრებების დაპირისპირება მე-3 ტურში, 4 სექტემბერს გაიმართება.

ვარი საქართველოს

საქართველოში ვარ-ის დანერგვის მოსამზადებელი ეტაპი გრძელდება. სფფ-ის ვაკის საფეხბურთო ცენტრში პროექტის 3ბ ეტაპი გაიმართა, რომელიც 40-წუთიან სათამაშო ეპიზოდებს მოიცავს. მსაჯებს თამაშის მიმდინარეობისას მომხდარი საკამათო ეპიზოდების გარჩევა და ვარ-ის ჩართულობით გადაწყვეტილების მიღება ევალებოდათ.

მომდევნო, 3ც ეტაპის ფარგლებში, ფიფასთან შეთანხმებით, ჩატარდება სატესტო თამაში, რის საფუძველზეც საქართველოში ოფიციალური მატჩების ჩატარება ვარ-ის თანხლებით გახდება შესაძლებელი.

სემინარის ყველა ეტაპის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ქართველ მსაჯებს ფიფასგან ვიდეო ასისტენტის ლიცენზია მიენიჭებათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფას ინსტრუქტორებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად, ქვეყანაში მსაჯის ვიდეო ასისტენტის დანერგვაზე გასული წლიდან მუშაობს. სამუშაო ჯგუფს ფიფას ყოფილი არბიტრი, გიორგი ვადაჭკორია ხელმძღვანელობს. პროექტის ფარგლებში ვიდეორეფერის სისტემის დანერგვა მიმდინარე წლიდან იგეგმება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 2. რადიაქტივობის საზომი ერთეული; 3. ხვიარა მცენარეებით გაფორმებული საჩრდილობლები პარკებში; 4. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 5. თაფლგამოცლილი ფიჭა; 6. ყნოსვის უნარის დაქვეითება, დაკარგვა; 9. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. მზა პროდუქციის, ნაწარმის წუნდება ხარისხის გამო; 11. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი და მკურნალობის მეთოდების დამდგენი მედიცინის დარგი; 14. ბრიტანეთის ნავსადგური „პა-დე-კალეს“ სრუტეში; 16. ოპტიკური მინების, ლინზების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიური სამრეწველო კომპანია; 20. უდაბნოში მზარდი მცენარე; 23. ჯიხვების ჯოგი; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. კუთხე საქართველოში; 26. აეროპორტი თელავივში.

თარაზულად: 7. გადამფრენი ფრინველების პერიოდული მოვლენის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 8. ნავთობის, ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო ირანში; 12. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 13. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 15. საინფორმაციო საშუალება; 17. ესპანელი ფერმწერი; 19. ხურდა ფული აშშ-ში; 21. აეროპორტი პარიზში; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 27. ძველი, იშვიათი ნივთების შემფასებელი, მოვაჭრე; 28. ძველებური ქართული ქალაქური ცეკვა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოდა; 2. ანაშა; 3. პრადა; 5. სენატი; 6. ჯარგვალი; 9. ციმაკურიძე; 10. ფიუმიჩინო; 11. მანიფესტი; 14. სკა; 16. სატივე; 18. უშტი.

თარაზულად: 1. კარატი; 4. ფასკუნჯი; 7. ფაველა; 8. დაშბაში; 12. ომარი; 13. ისრიმი; 15. ემბაზი; 17. ბრა; 19. ბასილაშვილი; 20. სენტო; 21. ლაღიძე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შერპი; 2. კოპრა; 3. დიოგენი; 4. წეკო; 5. რიწა; 6. კრედიტი; 9. ამპელოლოგია; 10. ამაშუკელი; 11. მონუმენტი; 14. გურჯი; 16. ოდიში; 18. ბრეგეტი; 20. ფალცეტი; 23. კიტო; 24. დაზგა; 25. მატიე; 26. შინი.

თარაზულად: 7. პირომეტრი; 8. სპრინტერი; 12. ჩექმა; 13. ლორია; 15. იმედი; 17. რაიკონენი; 19. ეპოსი; 21. რეალი; 22. ატილა; 27. სტრიპტიზი; 28. სტანდარტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7016

ევრო — 2.7916

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2960

100 რუსული რუბლი — 4.4509

ამინდის პროგნოზი 12 აგვისტოსათვის

ანჩელოტი: „აინტრახტთან იდეალური თამაში ვაჩვენეთ“



მადრიდის რეალმა სუპერ თასის ფინალში აინტრახტი დაამარცხა 2:0 და მადრიდელები მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა მათ მეტი გოლის გატანა ვერ შეძლეს. ანჩელოტიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის თავისი გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილია: „რეალმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც საჭირო იყო და მინდა, რომ ასე გავაგრძელოთ, რადგან ყველაფერი ჩვენს ხელშია“.

ჰოლანდი: „პრემიერ ლიგის დაწყებას მოუთმენლად ველი“

მანჩესტერ სიტის ფორვარდმა ერლინგ ჰოლანდმა პრემიერ ლიგის დაწყებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მოუთმენლად ელის ამას, რადგან მას ბევრი ამბიცია აქვს, რომლის განხორციელებასაც ის ეცდება: „მინდა, რომ მანჩესტერ სიტისთან ერთად ტიტულები მოვიგო და მოუთმენლად ველი იმ წუთს, როდესაც პრემიერ ლიგა სტარტს აიღებს. ეს ტურნირი ჩემთვის ძალიან საინტერესოა“.

დემბელე: „ლევანდოვსკი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია“

ბარსელონას ფორვარდმა უსმან დემბელემ რობერტ ლევანდოვსკიზე ისაუბრა და თქვა, რომ პოლონელი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და მასთან ერთად თამაში დიდი სიამოვნებაა. დემბელემ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მას კონკურენცია არ აშინებს: „ლევანდოვსკიმ ბარსელონას ის აუცილებელი მუხტი შემატა, რაც გუნდს ასე ძალიან აკლდა. დარწმუნებული ვარ, მასთან ერთად ჩვენ ბევრ წარმატებას მივაღწევთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

მამაკაცს ეკითხებიან:

– ხომ ვერ გვეტყვით, როგორი ურთიერთობა გაქვთ ოჯახში?

– საბაზრო.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– როგორ მოიქცეოდი, ლატარიაში ფული რომ მომეგო?

– ნახევარს გამოგართმევდი და აქედან დავახვევდი, გაგშორდებოდი.

– შესანიშნავია! 100 ლარი მოვიგე, აჰა შენ 50 ლარი და მიდი, დაახვიე!...

●●●

სამხედრო ბაზაზე შემოწმებაა. მეთაური სამზარეულოს ამოწმებს და კითხულობს:

– ვინ არის მორიგე?

– მე ვარ, ბატონო პოლკოვნიკო!

– წვნიანში დაფნის ფოთოლს რატომ არ დებთ?

– არ ჭამენ, ბატონო პოლკოვნიკო.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– საყვარელო, ჯერჯერობით მხოლოდ ტორტის გამოცხობა და თევზის შეწვა ვიცი.

– რა თქმა უნდა, ძვირფასო, შენ ყველაფრის მომზადებას ისწავლი, მაგრამ, მანამდე იქნებ მითხრა, ახლა რას ვჭამ, ტორტს თუ შემწვარ თევზს?

●●●

მასპინძელი სტუმარს ეკითხება:

– სოკოს მიირთმევთ? გადმოგიღოთ?

– არა, მე სოკოს მხოლოდ შეგროვება მიყვარს.

– რა პრობლემაა, შემიძლია, ძირს დაგიყაროთ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რობერტ სტურუა 84 წლის გახდა

რეჟისორი რობერტ სტურუა 84 წლის გახდა. რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს დაბადების დღე უმცროსმა კოლეგამ დიმიტრი ხვთისიაშვილმა მიულოცა:

– ჩემს ცხოვრებაში პირველი სპექტაკლი, რომელიც თეატრში ვნახე, იყო „ხანუმა“. ბევრი არაფერი მახსოვს, თუმცა დღემდე მომყვება ერთგვარი ფოიერვერკის განცდა, რაც თითქმის ნახევარი საუკუნის წინ შევიგრძენი. შემდეგ იყო კიდევ წამიყვანე, კიდევ წამიყვანეს მოთხოვნა ოჯახში და დედაჩემიც, თვითონაც „გიჟი“ თეატრალი მისრულებდა ამ ჩემს „ახირებებს“, ასე ბუნებრივად და თავისთავად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში რობერტ სტურუა.

ჯერჯერობით ყველა სპექტაკლი მახსოვს გუშინდელ დღესავით. მახსოვს ისეთებიც, რომლებსაც საეტაპოდ თითქოს არ მიიჩნევდნენ, თუმცა ჩემს ცნობიერებაში საოცარ მოგონებებად დაილექა. მაგალითად, „ღალატი“ და კახი კავსაძის საოცარი სოლეიმანი, „ბებია“ მედეა ჩახავას ზაბლონა მასწავლებლით, „საბრალდებო დასკვნა“ ყველანაირი შემადგენლობით, „ამჰერსტის მშვენება“ შეუდარებელი ემილი დიკინსონით ზინა კვერენჩხილაძეში განსხეულებული... ძალიან უჩვეულო და ორიგინალური „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“, „დაკრძალვა კალიფორნიაში“ ნანა ფაჩუაშვილის, ედიშერ მაღალაშვილისა და გურამ საღარაძის შესანიშნავი ტანდემით, „კონცერტი ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით“ უჩვეულო ორი სხვადასხვა ესთეტიკაში დადგმული მოქმედებით – გიორგი გეგეჭკორისა და გიორგი ხარაბაძის დუეტით, ას წელს მიღწეული თამარ თარხნიშვილის ესპანური ცეკვით... „დასაწყისი“ მარინე თბილელის საოცარი ეკონომისტი ქალით...

ერთი მისალოცი წერილი ვერც დაიტევს იმ ემოციას, რაც ბატონი რობერტის სპექტაკლებმა დალექა ჩვენს ცნობიერებაში, თანაც კიდევ ვიმეორებ – სპექტაკლ-შედევრებს განგებ არ ვასახელებ. შემდეგ, უკვე სტუდენტობის წლებში, ბედმა გამიღიმა და ჩემი ჯგუფელისა და მაესტროს დისშვილის ნინიკო არსენიშვილის წყალობით ქიაჩელის ბინის ხშირი სტუმრები ვიყავით. შესანიშნავი დეიდა ცუცა თავისი საფირმო კარტოფილის ღვეზელებით თითქოს მუდამ ჩვენს მოლოდინში იყო ხოლმე. ბატონი რობერტიც სწორედ იმ სახლში გავიცანით და „ჩავაწყვეთ“ „მეფე ლირის“ რეპეტიციებს რომ დავსწრებოდით.

თუ თეატრი გიყვარს, ძნელია არ გიყვარდეს და განსაკუთრებულ პატივს არ სცემდე კაცს, რომელმაც თეატრი-ფოიერვერკი აქვე, შენს თვალწინ შექმნა, აზროვნების ფორმა შემოგთავაზა, ნიჭიერების ზეიმში გაგატარებინა ბავშვობა თუ ყრმობა. ბევრს უჭირს იმის გაცნობიერება, რამხელა ბედნიერებაა იყო მისი თანამედროვე.

მაესტრო იუბილარია. 84 წლის შესრულდა. თითქოს ხანდაზმულ ასაკში გადააბიჯა, თუმცა კვლავ საოცრად ენერგიულია, თან როგორ თანამედროვედ აზროვნებს. მინდა მას ჯანმრთელობა ვუსურვო მხოლოდ, რათა ის შემოქმედებითი ენერგეტიკა, რითაც ასეთი დამუხტულია, კვლავ განსხეულდეს ახალ პრემიერებში, ახალ აღმოჩენებში, ახალ სათქმელში, რომლითაც სულ მუდამ გვანებივრებდა და ასეა დღემდე.

მიშა ჭიაურელს ისრაელში ელოდებიან

კინორეჟისორ მიშა ჭიაურელს ისრაელში ელოდებიან. იგი სექტემბერში თავის ძმადნაფიცებთან ისრაელში ჩავა.

ინფორმაცია მწერალმა მანანა დუმბაძემ გაავრცელა:

– სტუმრად მიშა ჭიაურელის სტუდიაში. ფილმიც დაამთავრა, უნიკალური ფოტოალბომიც შეკრა, ებრაელ რაბინთა ისტორიული ფირებიც დააარქივა, იდეებითაც დაიხუნძლა და ასე ხელდამშვენებული მოეშურება ისრაელში თავის ებრაელ ძმადნაფიცებთან ნაღვაწის გასაზიარებლად.

ჰოდა, დახვდით ისე, როგორც ამ ღირსეულ ადამიანს ეკადრება. ჩვენი მიშა ჭიაურელი ჩვენთან... სულ მალე, შუა სექტემბერში.

ტალინის კინოს მუზეუმში ბესო სოლომანაშვილის ფილმი აჩვენეს

ტალინში, კინოს მუზეუმში ქართველი რეჟისორის ბესო სოლომანაშვილის ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ აჩვენეს. ფილმი მწერალ თამრი ფხაკაძის ამავე ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული და მასში მთავარ როლს დუტა სხირტლაძე ასრულებს.

ბესო სოლომანაშვილი, რეჟისორი:

– ტალინში, კინოს მუზეუმში ფილმის „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ ჩვენება გაიმართა.

14 წლის წინ, 7 აგვისტოს და არა 8 აგვისტოს რუსეთის საოკუპაციო ჯარი შემოიჭრა საქართველოში და არა საქართველომ დაიწყო ომი. მოსაწვევშიც სწორედ ეს თარიღია აღნიშნული.

ფილმის ჩვენება მოხდა ამ ტრაგიკული თარიღის შესახსენებლად. მაშინ რომ მსოფლიოს ადეკვატური შეფასება მიეცა რუსეთისთვის, დღეს უკრაინა არ იქნებოდა.

ფილმი ევროპელ ელჩებს, კულტურის ატაშეებს, ხელოვანების ვიწრო წრეს აჩვენა საქართველოს საელჩომ ესტონეთში.

რუსეთი კვლავაც ოკუპანტია.

ომი არ გვინდა, მაგრამ თავის დაცვა გვჭირდება.

ველური რუსეთი მტერია, ცივილიზებული სამყარო – პარტნიორი.

ჩვენ ქსენოფობები არ ვართ, უბრალოდ, გვინდა თავის დაცვა ოკუპანტისგან.

წესით, ამის თქმა არ უნდა იყოს საჭირო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საჭიროა.

სალომე ჯიქიამ სიეტლის ოპერაში იმღერა

ქართველმა სოპრანომ სალომე ჯიქიამ სიეტლის ოპერაში იმღერა. მან ადინას პარტია შეასრულა სპექტაკლში „სიყვარულის ნექტარი“, რომელიც რეჟისორმა სტივენ ლოულესმა დადგა. სპექტაკლში ქართველ მომღერალს პარტნიორობა გაუწიეს ტენორმა ანდრეს აკოსტამ და ბარიტონმა ლუკა პიზარონიმ.

„რეჟისორმა სტივენ ლოულესმა საკუთარი კონცეფციით, დონიცეტის „სიყვარულის ელექსირის“ ისტორია მეორე მსოფლიო ომისშემდგომი ამერიკის პროვინციულ ქალაქში გადაიტანა. ადინა (სალომე ჯიქია) ამ დადგმაში სკოლის მასწავლებელია და არა ფერმის მფლობელი. მასზე შეყვარებული ნემორინო (ანდრეს აკოსტა) მელანქოლიკი ავტომექანიკოსია და არა გლეხი. ნემორინო, რომელსაც ოქროს გული აქვს, მაგრამ ბუმბულის ტვინი, ბოლო ფულს ხარჯავს, რათა „ჯადოსნური ელექსირი“ შეიძინოს შარლატანი დოქტორისგან, იმ იმედით, რომ საყვარელ ადინას გულს მოიგებს. დოქტორ დულკამარას პარტიას სარკაზმითა და მხიარული ენერგიით ასრულებს ლუკა პიზარონი“ – ასე გამოეხმაურა „სიეტლ ტაიმსი“ ქართველი სოპრანოს გამოსვლას სიეტლის ოპერაში.

სიღნაღში მუსიკალური ფესტივალი გაიმართება

13 აგვისტოს სიღნაღში მუსიკალური ფესტივალი გაიმართება, სადაც დიდი დოზით იქნება წარმოდგენილი მუსიკა, ხელოვნება და ღვინო. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და მსოფლიოში აღიარებული ქართველი მუსიკოსები: მაია ბარათაშვილი, ზაზა მარჯანიშვილი, ჯორჯ მელი, გია რაქვიაშვილი, გიორგი სამსონაძე, ლევან ჯაფარიძე, ანდრია გველესიანი, დავით ქარჩავა, გიორგი კობახიძე, დათო ლომიძე... ფესტივალის ფარგლებში კომპოზიტორ მანანა ბაქრაძის ახალი მუსიკალური კლიპების პრეზენტაციაც შედგება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 აგვისტოსათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ დაქვეითებულია. ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. იკვებეთ სწორად. **კურო** – ნუ გადაიღლებით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – საკუთარ შეცდომებს დაუკვირდით და გააანალიზეთ. დაეხმარეთ გაჭირვებულებს. **კირჩხიბი** – თქვენს სულიერ სიმშვიდეს არაფერი არღვევს. სერიოზული საქმით დაკავდით. **ლომი** – საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ახლობელ ადამიანთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება, რომელშიც თქვენც ჩაერთვებით. ნუ იაქტიურებთ. **სასწორი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. ერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. **ღრიანკალი** – შემოქმედებით საქმიანობაში გიმართლებთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. გიმართლებთ როგორც სიყვარულში, ისე კარიერაში. ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და წინდახედულობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეცადეთ, სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. **ვერძყული** – კარგად გამოიძინეთ, დაისვენეთ. სუფთა ჰაერზე სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **თევზები** – გაითვალისწინეთ გამოცდილი სპეციალისტის რჩევები. პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების რისკი დიდია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი მასა; 2. მდინარის ჩამონატანი სილა, თიხა, ღორღი; 3. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. დენის ძალის საზომი ერთეული; 6. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 9. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსავლენად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 14. ავსტრალიური სირაქლემა; 16. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

თარაზულად: 1. ქართული ხალხური ზღაპარი; 4. წყნარი ოკეანესპირა კურორტი მექსიკაში; 7. ქართველი ჰემატოლოგი, აკადემიკოსი; 8. სისხლის აღების ადათი სიცილიასა და კორსიკაში; 12. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ერთეული; 13. ფიგურული სახაზავი; 15. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 17. რაიმეს ჩამონათვალი; 19. ნიადაგის გამაფხვიერებელი აგრეგატი; 20. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 21. მწვანით მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა